პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, ერთიანდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ⁊ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური კომისიის ორგანო

რედაქცია — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული. რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

მთავარი კანტორა — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეოთხე სართული, ტელეფონი 10—49. ხელისმოწერის ფასი: მუშა-ქოსებისა 75 კ., დანარჩენებისთვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმოწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომარულის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამკლოვიანრო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხადება მიიღება 3 ს. ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

საინფორმაციო-განყოფილების კომპლექტი

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

— ოსმალეთში მდგომარეობა რთულია.
— ცენტრალურ ამერიკის რესპუბლიკებში ომი დაიწყო.
— გერმანიაში დაიწყო მზადება პრეზიდენტის ასარჩევად.
— გაიხსნა ლიონის გამოფენა.
— პოლონეთში დიდი სამრეწველო კრიზისია.

ოთხშაბათი, 4 მარტი 1925 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კ. № 51 (1206)

საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა

საკავშირო მთავრობის თავმჯდომარის, ამხ. რიკოვის სიტყვა, წარმოთქმული გუშინწინ თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში, მთლიანად ეხება საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკას და კერძოდ საქართველოს საკითხს.

ეს სავსებით გასაგებია. მშრომელი ხალხის მტრები ყოველ ღონეს ხმარობდენ და ეხლაც არაფერს ზოგავენ იმისათვის, რათა მუშურ-გლეხური წყობილების დამყარება ჩვენს ქვეყანაში გამოეყენებიათ და გამოიყენონ საბჭოთა ხელისუფლების და მისი მეთაური კომუნისტური პარტიის გასაშავებლად. მუშების და გლეხების მიერ ჩვენი მიწა-წყლიდან გაძევებულ და ევროპის იმპერიალისტების ფრთის ქვეშ თავშეფარებულ მენშევიკებს დღემდე არ შეუწყვეტიათ ყოველ გზა-ჯვარედინზე მოთქმა საქართველოს ვითომდა დაპყრობის შესახებ მოსკოვის მიერ, ვითომდა აქ კომუნისტების მიერ ქართველ ხალხის დამონების შესახებ.

მენშევიკებმა თავის ბატონობის დროს საქართველოში შესძლეს ისეთი ნაციონალისტური სულიერი განწყობილების დამყარება მოსახლეობის ზოგიერთ წრეებში, ისეთი უნდობლობის გამოწვევა რუსეთის ხალხისადმი, რომ ამის დაძლევამ საკმაოდ დიდი დრო და ენერგია შეიწირა.

შეიძლება ეხლაც კიდევ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც დღესაც არ აქვთ კარგად შეთვისებული საბჭოთა წყობილების ბუნება და ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის შინაარსი.

ამიტომ საჭიროა იყო საბჭოთა ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენლის ავტორიტეტული განცხადება, სწორედ თბილისში, საქართველოს მშრომელთა წინაშე, განცხადება, რომელმაც „ბრმებსაც“ უნდა აუხილოს თვალები, „ყრუებსაც“ შეასმინოს საბჭოთა ხელისუფლების ჰოლიტიკა ნაციონალურ საკითხში.

კავშირში არ არის დიდმპყრობელური ერი; საბჭოთა ხელისუფლების მახასიათებელია ხალხთა განთავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრისაგან, მათ შორის ნაციონალური ჩაგვრისაგან; უარავ სხვადასხვა ეროვნებათა და 130 მილ. მცხოვრების შემცველ სახელმწიფოს მოწყობა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყოველ პატარა და უპატარავეს ერს ექნება სრული თავისუფლება თავისი ნაციონალური განვითარებისათვის—ეს ძირითადი დებულებაა მთელი ჩვენი პოლიტიკის და მუშაობის. ამას იმეორებს ამხ. რიკოვიც.

და განა საკავშირო სესიის თბილისში გახსნაც არ ამტკიცებს კავშირში შემავალ ყველა ერების თანასწორუფლებიანობას! განა ამას ცხადს არ ჰყოფს ის მრავალმეტყველი ვარემოება, რომ ის ხალხები და ტომები, რომელნიც თვითმპყრობელური რეჟიმის წყალობით გადაშენების და ფიზიკური სიკვდილის გზას დაადგენ, დღეს გვევლინებიან საბჭოთა მიწა-წყლის შენებლებად და კანონმდებლებად! მათ საბჭოთა წყობილებამ მიანიჭა სრული უფლება და საშუალება ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრების ასაღორძინებლად. თბილისში ჩვენ უშუალოდ ვიხილეთ ამ დაბეჩავებულ ხალხთა და ტომთა წარმომადგენლები, კავშირის სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაციონალური საკითხის გადაჭრა ამიერკავკასიაში, როცა დამყარებულია ერთა შორის სრული მშვიდობიანობა და ძმური თანამშრომლობა, წინანდელი განუწყვეტელი ომების და მტრობის ნაცვლად, აგრეედვე ადასტურებს, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა ნამდვილად ემსახურება ხალხთა თანასწორობის საქმეს.

საქართველოს მშრომელმა მასსამ ეს სავსებით შეიგნო და ამიტომაც იცავს იგი აქტიურად საბჭოთა ხელისუფლებას. ამიტომაცაა იგი ასე გულმხურვალედ მიეცალმა საბჭოთა კავშირის ხალხთა ეკონომიურ წარმოადგენლებს. საბოლოოდ დაღუპულად უნდა ჩაითვალოს ის ადამიანი, რომელმაც ნახა თბილისის გუშინწინდელი გრანდიოზული დემონსტრაცია და არ აღმოხდა გულიდან: საბჭოთა ხელისუფლება არის მშრომელთა და დაჩაგრულ ერთა ნამდვილი განმანთავისუფლებელი და მათი უფლება-ინტერესების მედგარი დამცველი.

ჩვენ იმდენად გულუბრყვილონი არა ვართ, რომ ვსთქვათ, რომ ყველაფერი ეს „გამოსაწორებს“ „კუბიან“ მენშევიკებს, აი ბურჟუაზიას. მსოფლიო ბურჟუაზიას სურს ჩვენი ქვეყანა გაიხადოს ასპარეზად ბრძოლისათვის საბჭოთა რუსეთის და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხების წინააღმდეგ, აგრეედვე გზად ბაქოს ხათის ხელში ჩასაგდებად. მენშევიკების ოცნებას კი შეადგენს ისევ საინისტრო პორტფელების დაბრუნება და ძველებური ბატონობის აღდგენა ქართველ ხალხზე. ამიტომაც მიჰყიდეს მათ თავისი სული და ხორცი მსოფლიო იმპერიალისტებს.

მაგრამ საქართველოს მშრომელნი, მთელ საბჭოთა კავშირის ხალხებთან ძმურად გაერთიანებულნი, მედგრად დგანან მოპოვებულ თავისუფლებისადარაჯოზე და საკუთარი ხელებით სქედავენ თავის ბრწყინვალე მომავალს. რა უკვთ, რომ ეს გარემოება კლავს ყორდანიას და სხვა კონტრრევოლიუციონერებს. საქართველოს მშრომელ მასას თავისი გზა აქვს და ამ გზით იგი მტკიცედ მიემართება დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად

ციკავშირის რწმუნებულთა ერილობა

ამ დღეებში გაიხსნება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის—ციკავშირის რწმუნებულთა ყრილობა, რომელმაც უნდა განიხილოს წარსული ორი წლის მოქმედების ანგარიში.

ადგილობრივ კოოპერატივთა წარმომადგენლების წინაშე მთელის თავის სიგრძე-სიგანით აღიმართება საკითხი საქართველოს კოოპერაციის საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღების შესახებ. ამას გარდა რწმუნებულთა ყრილობას მოუხდება მომავალ მოქმედების გეგმის შემუშავება. მთელი ერთი წლისათვის. მაგრამ თუ ჩვენ გვსურს გავითვალისწინოთ კოოპერაციის ძმამავალ განვითარების გზები, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ამ მიზეზების გამორკვევას, რომელთა წყალობითაც კავშირმა იმაზე მეტი ვერ გააკეთა, ვიდრე გაკეთებულია საანგარიშო წლის განმავლობაში. ამ საკითხის გადაჭრა დიდად აინტერესებს მთლიანად კოოპერაციას—ცენტრიდან დაწყებული ძირითად კოოპერატიულ ქსელთ გათავებული.

კავშირის მუშაობა მიმდინარეობდა ძირითად კოოპერატივებთან მჭიდრო კონტაქტით. ცხადია, რომ ცენტრის შეცდომებში წილი უდევთ ადგილებსაც. რწმუნებულთა ყრილობამ მსჯელობის პროცესში კარგად უნდა შეისწავლოს ეს საკითხი და სათანადო ზომები შეიმუშავოს.

მეტად მწვავედ სდგას საკითხი კავშირის საბრუნავ თანხების გაძლიერების შესახებ. აქ გარკვევით უნდა ითქვას, რომ კავშირის საბრუნავი თანხები იმდენად მცირეა, რომ ამ კარ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას თვით მინიმალური საშეროზანი ცენტრისა, რომელიც აერთიანებს 700-მდე სავაჭრო ერთეულს. ყველამ იცის, რომ კოოპერატივები თავის ცენტრიან ამ მდგომარეობაში დახდა საბჭოთა ხელის-უფლებას, რომ არც ერთ მათგანს არა ჰქონდა რაიმე საკუთარი თანხა. მთავრობისგან სესხად მიღებული 90.000 მან. ოქროთი ის ერთად-ერთი თანხა იყო, რომელიც საფუძვლად დაედო ციკავშირის მოღვაწეობას.

ყველა დანარჩენი თანხა ციკავშირს მიეცა განსაზღვრული მიზნისათვის—აბრეშუმის პარკის, სიმინდის დასამზადებლად და სხვა.

ამას ისიც დაუმატოთ, რომ საბრუნავ თანხათა უდიდესი ნაწილი დაბანდებულია კავშირის საწარმოო წამოწყებებში, ამჟამად მკვდარ თანხას წარმოადგენს და გარკვეულ ეფექტს არ იძლევა არც კოოპერატიულ მრეწველობის განვითარების და არც საკაპრო ბრუნვის გადიდების სფეროში.

ცენტრმა, რომელსაც თავისი საკუთარი თანხები არა ჰქონდა, ძირითად კოოპერატივებს მისცა ერთ მილიონ მანეთზე მეტად ღირებული საქონელი. ეს ჯამი იმ ეკონომიურ ბაზას წარმოადგენს, რომელზედაც დაფუძნებულია ძირითად უჯრედების მუშაობა.

მთელ ამ თანხის შეგროვებას ცენტრი, რასაკვირველია, ვერ მოახერხებს, ვინაიდან ეს გამოიწვევდა მრავალ ძირითად კოოპერატივის დახურვას. მეორე მხრით, ამ თანხების უქონლად არავითარი შესაძლებლობა არ არის ცენტრის მუშაობის მოსაწესრიგებლად. ამ თანხებიდან შეიძლება მიეცეს ადგილებს განსაზღვრული ჯამი, მაგრამ არა უმეტეს მთელი თანხების 50 პროცენტისა, ისიც იმ პირობით, რომ მომავალში მტკიცედ იქნას დაცული ვალის გადახდის ვადები.

ამ საკითხის გამო, ყრილობამ თავისი მტკიცე და გარკვეული დადგენილება უნდა გამოატანოს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს საშუალებანი კავშირის გამგეობას მიღებული აქვს მოკლე-ვადიან სესხის სახით.

ამავე დროს ყრილობა უნდა შეეხოს წვერთა რიცხვის და საპაიო გადასახადის გაძლიერების საკითხს. ზემოშაკებულ უნდა იქნას ზომები, რომ ეს გადასახადი წევრებმა დროზე შეიტანონ ძირითად კოოპერატივებში, ხოლო ამ უკანასკნელმა თავის კავშირში.

საქმის ვითარება ისეთია, რომ იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ მრეწველობა საკოოპერაციო კრედიტს გაადიდებს. იმედი უნდა დავამყაროთ ისევ ჩვენს თვითმოქმედებაზე.

ამ სფეროში ცოტა რამ უკვე გაკეთებულია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, ესე იგი 1921 წლის იანვრის 1-სათვის თითო წევრზე მოდიოდა 0,07 კაპეიკი, იმ დროს, როდესაც 1919 წლის იანვრის 1-სათვის შეადგენდა 0,92 მან., შემდეგში მდგომარეობა ასე იცვლება: 1922 წლის იანვრის 1-სათვის 0,01 მან., 1924 წლის იანვრის 1-ს—1,03, ხოლო 1924 წლის ოქტომბრის 1-სათვის უკვე 1,84 მან. ეს იმას ნიშავს, რომ მართლაც შესრულებულია მუშაობა ნებაყოფლობით ნიადაგზე წევრთა მისაზიდად რასაკვირველია, იმედი არ უსდგვქონდეს, რომ ეს ჯამი ჩქარა მიაღწევს ომის წინა დროის ნორმას, მაგრამ მაინც გვმართებს მუშაობა გავაძლიეროთ ამ მხრით, რათა მიმდინარე წელში აყვანილი იქნას იმ ზომამდე მაინც, რომ თითო წევრზე 5 მან. მოდიოდეს, ასეთივე სურათს იძლევა მდგომარეობა საპაიო თანხისა, რომელიც თვითულ კოოპერატივს უწევს. 1921 წლის იანვრის 1-სათვის შეადგენს 36,08 მანეთს, 1922 წლის იანვრის 1-სათვისა—4,59 მან., 1923 წლის იანვრის 1-სათვის—542, ხოლო 1924 წლის ოქტომბრის 1-სათვის—1084 მან. ეს გარემოებაც იმაზე მოწმობს, რომ ამ სფეროშიც ყოფილა მუშაობა. მაგრამ ჩვენ აქ მაინც ვერ შეეჩერდებით. კოოპერატივებს წევრთა საჭიროებანი შარშანდელთან შედარებით გაეზარდა. აქაც უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტად გავადიდოთ ის ჯამი, რომელიც თვითეულ კოოპერატივს უწევს.

მხოლოდ ასეთ პირობებში არის შესაძლებელი როგორც ცენტრის, ისე პერიფერიის საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღება.

კოოპერაცია კვლავ რჩება ისეთ ორგანიზაციად, რომელსაც დაკისრებული აქვს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სოფელს და ქალაქის შორის კავშირის გამმის საქმეში. ეს არ ნიდა დავივიწყოთ იმ საკითხთა განხილვის დროს, რომელნიც დაკავშირებულია კოოპერაციის განვითარებასთან.

სინტერესოა თვალი გადავავლოთ, თუ რამდენად წაიწია წინ კოოპერაციამ საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ, როგორც ძირითად კოოპერატივების აქტივების მდგომარეობის გაუმჯობესების მხრით, ისე ცენტრის—ციკავშირის ბრუნვის გადიდების მხრით.

სტატისტიკის ცნობებით თვითეულ ძირითად კოოპერ. აქტივი უდრიდა: 1921 წლის იანვრის 1-სათვის—295,95 მან., 1922 წლის იანვრის 1-სათვის დადის 81,91 მანეთამდე, 1923 წ. იანვრის 1-სათვის უდრის 120,44 მან.; 1924 წლის იანვრის 1-სათვის 27.583,36 მან., ხოლო 1924 წლის ოქტომბრის 1-სათვის 34029 მან. 67 კაპ. ასეთია საერთოდ ძირითად კოოპერატივების გაუმჯობესების სურათი 1924 წლის ოქტომბრის პირველამდე. ეს გაუმჯობესება უმთავრესად იმ დახმარების შედეგია, რომელსაც ციკავშირი უწევდა ძირითად კოოპერატივებს.

ცენტრის—ციკავშირის აქტივი 1921 წლის იანვრის 1-თვის უდრიდა 148,550 მან., 1922 წლის იანვრის 1-თვის 65.062 მან., 1923 წლ. იანვრის 1-სათვის 354.822 მან, 1924 წლის იანვრის 1-სათვის 5.715.372 მან. 85 კაპ., ხოლო 1924 წლის იანვრის 1-სათვის 6.214.950 მან. 74 კ., ერთის სიტყვით 1921 წელთან შედარებით აქტივის მეტად დიდი ზრდა ტეობა.

ციკავშირის სავაჭრო ბრუნვის ზრდაც ასეთსავე სურათს იძლევა. 1919 წელს ციკავშირის ბრუნვა უდრიდა 2.346.769 მან., 1920 წელს 1.033.558 მ., 1921 წელს 317.963 მან., 1922 წ. 269.141 მან., 1923 წ. 4.644.225 მ. 10 კ., ხოლო 1924 წ. 6.026.060 მ. 46 კ.

კავშირის ძირითად და საბრუნავ თანხების გაძლიერება, საპაიო თანხების გადიდება, ვალის გადახდის ვადების მოკიცედ დაკვა, მომზადებულ მუშაკთა მუდმივი კადრი,—აი აუცილებელი პირობა საქართველოს კოოპერაციის მომავალ განვითარებისათვის.

უსურვებთ რწმუნებულთა ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს კოოპერაციის და საერთოდ საბჭოთა მეურნეობის საკეთილდღეოდ.

ა. ერკომაიშვილი.

კაპიტალიზმის ოთხკედლუა

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

თავის წერილში რემდესის აღმასრულებელ კომიტეტისადმი ამხ. პიერელი შემდეგნაირათ აღწერს რევოლიუციონერ პატიმრების მდგომარეობას იტალიის საპყრობილეში.

„ის, რაც ვნახე მე ლიუკაში და ნეაპოლში, ცოცხლათ გასვენებულთა ნამდვილ საფლავებს წარმოადგენს... წყვდიადით მოცული საკნები ერთეული პატიმარისათვის, მძიმე და ჩამოწოლილ კედლების შკვდრი სიჩუმე პირდაპირ ქვისაან მუსრავრ ტომრებს მოგაგონებს... გაიღო მძიმე კარი, საკნის სიბნელეში რაღაც ინძრევა და რამდენი წუთის შემდეგ ჩვენ წარმოგვიდგება კაპიტალის მიერ წამებულის ფერმკრთალი სახე. დიდროონი, მაგრამ ჩავარდნილი თვალები განცვიფრებით და უნდობლათ მომჩერებიან მე და ჩემ თანამხლებელს—ციხის უფროსს.

ვესაუბები ამხანაგს და ვუწვდი ხელს ჩამოსართმევად. გადავეცი სალამი კომუნისტურ პარტიიდან და თან დავარწმუნე, რომ რემდესი მიიღებს ყოველივე ზომას მის ახლობელთა დახმარების აღმოსაჩენათ“...

ასეთია სიმართლისათვის მებრძოლთა ბედი „განათლებულ“ იტალიაში. მაგრამ იმასთან შედარებით, რასაც სჩადის ბურჟუაზია თავის კოლონიებში და ნახევრად-კოლონიებში, ეს შაქრათ მოსჩანს. ევროპის მატერიკის გარეთ კაპიტალის თავგასულობას რევოლიუციასთან ბრძოლაში საზღვარი არა აქვს.

ჩვენ ხელთ არის ინდოელ რევოლიუციონერის წერილი, სადაც ის შემდეგს იტყობინებს:

„დატუსაღებისთანავე ინდოელ პოლიტიკურ პატიმარს ართმევენ „ჩვენებას“, რომლის საშინელებასაც ვერ შეედრება ისპანიის ინკვიზიციის გულშემზარავი ლეგენდებიც კი. ცალკე საკანში გამომწყვდევენ, ელექტროენით წამება და ცემა-ტყეპა აქაურ „ორიანკის“ ჩვეულებრივი მეთოდებია. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა პატიმრები მთელი საათობით გამოჰკიდეს თმებით და ხელებით, რომ იძულებული გაეხადათ ისინი „სიმართლე“ ეთქვათ“...

ერთი ინდოელი ტუსაღი ამხ-ვი კი შემდეგს იწერება: „ეგოპიელმა პოლიციის მოხელემ შკასსა სახეზე სიბინძურით სავსე ერთი ტაშტი შარდი. შემდეგ მე შემაგდეს ბნელ საკანში და ნებაც არ მომცეს, რომ პირი დამბანან“.

ასეთია თითო-ოროლა შემთხვევით ჩვენამდი მოღწეულ ამხანაგების მიერ აღწერილი სურათი კაპიტალისტურ საპყრობილეთა რეჟიმის შესახებ. მაგრამ რამდენი ათეული ათასი რევოლიუციონერი ატანჯება დღეს ბურჟუაზიის ბნელ და ნესტიან საკნებში. რამდენ ადამიანის სიცოცხლე ამდება უდროოთ ბურჟუაზიის ჯალათების ‚ალანქებში...

იმპერიალისტურ ომის შემდეგ არა სოდეს ასე დაუნდობელი და მასიური არ ყოფილა მუშათა ორგანიზაციების და ცალკე რევოლიუციონერების დევნა-შევიწროება, როგორც ამას ამ ბოლო ხანებში აქვს ადგილი.

მსოფლიო ბურჟუაზიის ბანაკში, როგორც ვიკით, დოუესის გეგმამ დროებითი სულიერი სიმშვიდე შეიტანა და ერთგვარი წონასწორობა შექმნა. უკანასკნელ ხანებში თითქოს გაჭქრა რევოლიუციის უშუალო საშიშროება, რომელიც ომის ცეცხლის ჩაქრობის პირველ წლებში კარზე უკაკუნებდა კაპიტალისტურ ევროპას.

ამიტომ, რაც დღე გადის, ბურჟუაზიის თავხედობაც უფრო მატულობს რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. თეორი ტერორი, რომელსაც ადგილი აქვს კაპიტალისტურ ქვეყნებში, თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. ბურჟუაზია ლამობს ოთხ კედელ შუა გამომაწყვდიოს რევოლიცია და ხელები გაიხსნას თავის მტაცებლურ მუშაობისათვის.

ეგრედ წოდებულ „გერმანიის ჩეკას“ პროცესი, კომუნისტების გასამართლება სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნების ქალაქებში, რომლის შესახებაც ნიადაგ დღე მოაქვს ცნობა ტელეგრაფს,—იმის დამამტკიცებელია, რომ ბურჟუაზია აღარ ხუმრობს, რომ რევოლიუციასთან ბრძოლაში არ არსებობს დიდი და მცირე ანტანტა და დამარცხებული გერმანია. აქ ის ინტერნაციონალურია და მუშათა კლასის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტით უტევს!

მაგრამ იმისდამიხედვით, რამდენად დასავლეთით ხდება კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაცია, აქ, საბჭოთა კავშირში, მტკიცდება და აკეცსება მრომელთა ბატონობის სახელმწიფო, ამიტომ ბურჟუაზიის ერთსულოვან თავდასხმას უხდა დაუპირისპირდეს პროლეტარიატის ერთსულოვანი წინააღმდეგობა და ალმფოთება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით.

მოსკოვში ამის გამო შესდგა მრავალრიცხოვანი ინტერნაციონალური საპროტესტო მიტინგი. საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქებში ფართო ხასიათს იღებს რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების კამპანია.

18 მარტი განზრახულია გამოცხადებულ იქნას ბურჟუაზიის ოთხ კედლებ შუა გამომწყვდეულ ამხანაგების და მათ უთავალყურო დარჩენილ ოჯახების დახმარების დღეთ.

საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი ნუგეშია, რომელიც ფრთებს ასხამს და ენერგიას უსაკეცებს კაპიტალიზმთან უთანასწორო ბრძოლაში ბურჟუაზიულ ქვეყნების პროლეტარიატს.

აკ. ჭყონია.

მოსკოვი, 25 თებერვალი.

საკავშირო ცაკის მესამე სესიის გახსნა

უთავბოჭდილებანი

ოპერის დარბაზი გაჭედილია ცაკისწევრებით და ნოპატიებულ სტუმრებით. პრეზიდიუმი მთელი შემადგენლობით უზისმაგიდას.

შემოდის ამხ. მ. ი. კალინინი. დარბაზი ტაშისცემისგან გრიალებს. დასაწყნარებლად ამხ. კალინინი იღებს ზარს და ენერგიულად რეკავს. დგება სიჩუმე. ამხ. კალინინი იწყებს შესავალ სიტყვას.

ლაპარაკობს მარტივი ენით და დამშვიდებულ კილოთი. მიხვრა-მოხვრა სრულიად ბუნებრივი, ყოველგვარ ორატორულ ხელოვნურობას მოკლებული.

დეფა აზრის თანდათანობითი გაბვითარება, მთავარი თემიდან იშვიათად გადახვევა.

წონადადება წონადადებას მოსდევს ლოგიკური თანთათანობით ჯაჭვის რგოლებივით და სრულდებიან ერთს მკოიან რკალში დამთავრებულ მოსსენებად. ამხ. კალინინის სიტყვა და წონადადება არის გადაუჭარბებელი და ზომიერი.

ამხ. რიკოვის სიტყვა რომელსაც ჩვეულებრივი საუბრის ხასიათი აქვს, ესევა შინაგანი დამარწმუნებელი ძალით.

მის მოხსენებაში ვერ ნახავთ წონადადებას, რომლის ამოღება შეიძლებოდეს მთავარი აზრის დაუზიანებლად.

დარბაზი რიკოვის შეუღამაზებელს, მარტივს სიტყვას ისმენს დიდი გულისყურით და დაკვირვებით.

მოხსენებას იწყებს ყველასათვის მისაღები უთავო დებულებით, და იქიდან გამოჰყავს თავისი საბოლოო დასკვნები. ამიტომ აქვს მის სიტყვას იშვიათი დამარწმუნებელი ძალა. მის სიტყვას ხალისს აძლევს აგრეთვე უწყინარი და დამბიენებული იუმორი. ასეთია შთაბეჭდილება ამხ. რიკოვიდან.

პირველ საქმიანს სხდომას საზეიმო დასასრული მისცეს პატარა ორატორებმა—სამხედრო სკოლის მოწაფეებმა.

სესიის მისასალმებლად სცენაზე გამოდის 13—14 წლის ბავშვი. სიტყვას ამბობს თითრულდ. ლაპარაკობს გარკვევით, ენერგიულად და ბუნებრივი პათოსით.

პატარაა ორატორი ლაპარაკობს ისეთი გატაცებით, რომ დარბაზს, დიდ უმრავლესობას არ ესმის რომლის მისი ენა, იპყრობს გიპნოზი.

ხმის აწევა, დადაბლება, პაუზა ისე ა ვს გაზომილი და შეფარდებული, რომ სტოვებს გაწვრთნილი, გამოცდილი ორატორის მთაბეჭდილებას.

მოხდენილათ წარმოთქმული სიტყვით იგი მისი ენის უცოდინარ დარბაზს აგრძნობინებს თავისი სიტყვის მნიშვნელობას და ძალას.

პატარა ორატორის სიტყვას რამოდენიმეჯერ ჰფარავს მქუხარე ტაში.

ჩვენი მთავრობაც სწორედ იმისთვის აქცევდა უდიდეს ყურადღებას გლეხობის საკითხს. ყველაზე მეტი ყურადღება კი სწორედ ეხლა მიაქცია ამ საკითხს ჩვენმა მთავრობამ. იყო დრო, როცა მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხი არ წარმოადგენდა ჩვენთვის ისეთ საფრთხეს, როგორსაც წარმოადგენს ეხლა იგი. იყო დრო, როცა მუშათა კლასს და გლეხობას ჰქონდა მთლიანი, ორთავე კლასისთვის გასაგები და ცხადი ამოცანა: რომ მიეყვანათ გამარჯვებამდის ოქტომბრის რევოლიუცია. ეხლა კი, როცა ჩვენ წინ წამოიჭრენ უდიდესი სამეურნეო

ამხ. კალინინი

და პოლიტიკური ამოცანები, როცა ცხოვრება შესაძრნევად გართულდა როცა ჩვენ ვამჩნევთ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ განვითარებას, მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის საკითხი უკვე ვეღარ გადაიჭრება ისე ადვილად, როგორც ის ხდებოდა სამოქალაქო ომის დროს.

გლეხობის საკითხს ამ ჟამად ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიური განვითარება საკმაოდ ვერ აკმაყოფილებს ნივთიერ და კულტურულ მოთხოვნილებების ზრდას. მაგრამ იმ ნივთიერ და კულტურულ მოთხოვნილებებს გარდა, რომელთაც გვიყენებს ჩვენ გლეხობა, სოფელი ამ ჟამად კიდევ მეტ მოთხოვნილებებს უყენებს ჩვენს, დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატს. ჩვენ უნდა დავდგომოდით გადამჭრელ ზომების გზას ამ დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების დარგში და თქვენ იცით, რომ უკანასკნელ დროს ჩვენ მოსკოვში მოვიწვიეთ სპეციალური თათბირი, რომელმაც ყურადღება მიაქცია დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების საკითხებს, ეს იყო პირველი ნაბიჯი და ჩვენ ამ მხრივ წინ გვიდგას კიდევ აუარებელი მუშაობა.

თავისი სიტყვის უკანასკნელ ნაწილს ამხ. კალინინი ანდობებს საბოსფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხს. ის ამბობს, რომ მთავრობა ყოველივე ძალ-ღონით სცდილობს შეუმსუბუქოს გლეხობას გადასახადის ტვირთი. მიმდინარე სესია გაარჩევს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხს, ამასთან ერთად მთავრობა თავის მხრივ წინადადებას შემოიტანს, რომ შემცირებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ციფრი. შარშანდელთან შედარებით წელს ეს ციფრი მცირდება დაახლოებით 30—40 პროც. მთავრობამ გლეხობას გადასახადი ასე შეუმსუბუქა მაშინვე, როგორც კი დაეტყო ერთგვარი გაუმჯობესება ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტს. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ციფრის შემცირების გარდა შეცვლილი იქნება აგრეთვე მისი აკრეფის ფორმებიც იმ მხრივ, რომ ამ შემოხვევაში გლეხობას გაცილებით უფრო გაუადვილდეს გადასახადის გადახდა წინანდელ წლებთან შედარებით.

ეს პატარა მაგალითი მოწმობს იმას, რომ მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს გლეხთა მასების ინტერესებს.

ამხ. კალინინი დარწმუნებულია, რომ მუშების და გლეხების კავშირი, რომელსაც ემყარება საბჭოთა ხელისუფლების ძლიერება, მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება.

ამხ. კალინინის სიტყვას ფარავს ქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

სესიის დღის წესრიგის დამტკიცება

ამხ. კალინინის სიტყვის შემდეგ სესია ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

1) საბჭოთა კავშირის მთავრობის მოხსენება.
2) ამიერ-კავკასიის საბჭ. სოციალ. რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება.
3) საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი.
4) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

დღის წესრიგის და რეგლამენტის მიღების შემდეგ თავმჯდომარე ამხ. კალინინი წინადადებას იძლევა საბჭოთა კავშირის თთავრობის მოხსენება მოსმენილი იქნას საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსთან ერთად.

ეს წინადადება მიღებული იქნა საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მიერ. სიტყვა საბჭოთა კავშირის მოთავრობის მოხსენებისათვის ეძლევა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს **ამხ. რიკოვს, რომლის გამოსვლას ტრიბუნაზე მთელი დარბაზი ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით ხვდება.**

(ამხ რიკოვის სიტყვას მოვათავესებთ ხვალ).

თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა 2 მარტს

ამხ. რიკოვის სიტყვა

ახალი ფურცელი ისტორიაში

ამხანაგებო, გრძელი გზის გამოვლის შემდეგ საერთოდ ძნელია ლაპარაკი, და განსაკუთრებით, საზეიმო სხდომებზე. ამიტომ გთხოვთ მაპატიოთ, იმისათვის, რომ ჩემი სიტყვა იქნება ძალიან მოკლე, მით უმეტეს, რომ ხვალ მე უნდა გავაკეთო ვრცელი მოხსენება ცაკის სესიაზე.

მე მინდოდა შევხებოდი მხოლოდ ზოგიერთ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია ამიერ-კავკასიასა და საქართველოსთან.

დღევანდელ მომენტში მთელი მსოფლიოს ხალხები ოქტომბრის რევოლიუციამ დააყენა აუცილებლობის წინაშე აირჩიონ თუ რომელი სისტემაა უფრო ხელსაყრელი მათთვის საბჭოების, თუ ბურჟუაზიული. ოქტომბერმა გადაშალა ახალი ფურცელი კაცობრიობის ისტორიაში. მძლავრი შეტევით მუშამ და გლეხმა დაამხვეს მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობა, მოსპეს კერძო საკუთრება და საბჭოთა სისტემის სახით ნოამზადეს წინასწარ პირობები სოციალისტურ მეურნეობის მოსაწყობად.

წინად, კაცობრიობის ისტორიაში ადგილი არ ჰქონია ასეთს შემთხვევებს, ამიტომ ჩვენ სრულიადაც არ ვტრაბაზობთ, როდესაც ვლაპარაკობთ რომ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ იწყება სრულიად ახალი ხანა ისტორიაში.

საქართველო არჩევანის წინ

ეხლა სრულდება 4 წელიწადი საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარების დღიდან, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ჩვენს კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკები. 4 წლის წინად საქართველო იდგა არჩევანის წინ: უნდა დადგომოდა ის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ განვითარების გზას და გადაქცეულიყო დასავლეთ-ევროპის კაპიტალის კოლონიად, თუ წასულიყო სოციალიზმის მშენებლობის გზით საბჭოთა სახელმწიფოსთან კავშირში.

საქართველო შეიძლება იყოს ბურჟუაზიის მიერ აღმოსავლეთის კოლონიალურ ჩაგვრის ადგილად, ბურჟუაზიულ გაელენის დროზე გამტარებლათ აღმოსავლეთის

ამხ. რიკოვი

სუფლებას, თავის ეროვნული განვითარებისათვის. ამასთანავე ერთად არ უნდა დაგვიწყდეს ის გარემოება, რომ თავისუფალი განვითარება რომელიმე ეროვნების, როგორც თავის ტერიტორიის ფარგლებში ამისთვის მეტად ვიწრო ბაზა აქვს, შესაძლებელია სხვა ერებთან მჭიდრო ეკონომიური კავშირის პირობებში. ეკონომიური თანამშრომლობა სხვადასხვა ერებს შორის დამყარებული მეგობრობაზე, უთანაერთ ნდობაზე, საერთო ინტერესებზე, უარყოფა ეროვნული განვითარების თავისუფლების შეზღუდვისა, აი რა შეუწყობს ხელს ცალკე ერთა სამეურნეო პოლიტიკურ და კულტურულ აღორძინებას და ამით დახმარებას გაუწევს ეროვნული განთავისუფლების საერთო მიზნის საჩქაროდ განხორციელებას.

და ამ მხრივ პრაქტიკული გადასინჯვა ჩვენი პროგრამის, ჩვენი მუშაობის უნარის, უნდა მოხდეს, კერძოთ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის გამოცდილების მიხედვით. საკავშირო მთავრობა, რომელთა წარმომადგენლებს თქვენ შეხვდით დღეს, მოწოდებულია გაანგარიშ ქვეყანა 130 მილიონი მცხოვრებით და მიიყვანოს ეს მილიონები ყოველგვარ ჩაგვრისა და ძალადობისაგან განთავისუფლებამდე. ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მთელი მუშათა კლასის მუჭიერო კავშირის საშუალებით, მისი დაკავშირებით გლეხობასთან და ვიმორებ, სრული თანასწორობით ყველა ეროვნებათა, რომელნიც შედიან ჩვენი კავშირის შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის ცაკის სესიაზე დღის წესრიგში სდგას ამიერ-კავკასიის სახ. კომისარიატ საბჭოს მოხსენება და ჩვენ მოვითხოვთ ამიერ-კავკასიის სახ. კომისარიატ საბჭოსაგან სწორ პასუხს იმაზე, **რა მიღწეულია ა.-კავკასიაში ეროვნული საკითხის გადაჭრის სფეროში, ეროვნულ კულტურის განვითარებისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა თავიანთ-ფალ თანამშრომლობის საკითხში.**

ეროვნული საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტს მთელ ჩვენს პოლიტიკაში. მხოლოდ ხალხთა თავიანთუფალ განვითარების ნიადაგზე არის შესაძლებელი ჩვენ კავშირში შემავალ ეროვნებათა შეკავშირება. როგორც თქვენ გახსოვთ, ელადიმერ ილიჩი თავისი მუშაობის უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით უკანასკნელ თვეებში დიდ ყურადღებას აქცევდა ეროვნულ საკითხს და კერძოდ საქართველოს საკითს; ილიჩი ამ საკითხს უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაში.

აქ, ამ ტრიბუნაზე, გამოვიდენ წარმომადგენლები გლეხებისა, მუშებისა და მთელი რიგი სახოგადო ორგანიზაციებისა ს. ს. ს. რ. კაკის მიმართ მისალმებებით. მუშებისა და ყოფილ მენშევიკების სახელით გამოსული ამხანაგები თავის სიტყვებში აღნიშნავდენ იმ შეცდომებს, რომლებიც ჩაიდინეს ნაწილობრივ მუშებმა და ნაწილობრივ მოსახლეობამ საქართველოში ამას წინედ აჯანყების მოწყობა. ეს ფანტაზია მდგომარეობდა იმაში, რომ მოგვეპოვება დამფუძნებელი კრება (**სიცილი**).

აი მთავარი აზრი, რომელიც რევოლიუციონურ ენტუზიაზმს უნერგავდა მუშებს.

და აი 25 წლის შემდეგ, მე ისევ ჩამოვედი ტფილისში, ჩამოვედი ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრებთან ერთად, საგანგებო მატარებლით, რომელსაც ორი ორთქლმავალი წინ ქონდა მიბმული, ერთი კიდევ უკან. ჩამოვედი ტფილისში იმ მომენტში, როდესაც უკვე შორს, ისტორიაში დარჩა ეს დამფუძნებელი კრება, ჩვენი ფანტაზია (**ტაში**).

სინამდვილე უფრო ლამაზი აღმოჩნდა. მან უფრო შორს გადაამიჯა ვიდრე ის ახალგაზრდული ოცნებები, რომელიც ასულდგმულებდა მაშინ თფილისელ მუშებს და მეც, როგორც თბილისელს.

ის მიღწევანი, რომელიც ჩვენ გვაქვს—დიდია. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ **ძალა-უფლება. ძალა-უფლების ხელში ჩაგდება—ეს არ არის** დამფუძნებელი **კრება,** რომელშიაც მუშები მიიღებდენ მონაწილეობას, როგორც ამ კრების ნაწილი. ეხლა ჩვენ თვითონ ვართ ძალა-უფლება. გზა, რომელიც გვაშორებს ჩვენ ძველ ოცნებებს, და რომელმაც მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე მოკირწყლულია არაერთხელ ისტორიაში უმაგალითო მსხვერპლით, რომელიც მუშათა კლასმა გაიღო ძველი მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს მსხვერპლი გავიღეთ ჩვენ—იმ ხალხმა, რომელიც სცხოვრობს ჩვენი ტერიტორიის თვალუწვდენელ სივრცეზე.

ეს მსხვერპლი მიჰქონდათ აგრეთვე მთის ხალხებსაც, რომელთაც განსაკუთრებული თვისება და ხასიათი აქვთ. და ამჟამად თბილისის მუშათა შორის მე ვეღარ ვხედავ იმ შესანიშნავ ამხანაგებს, რომელთაც შეეძლოთ ეხლა უსათუოდ დიდი და საპასუხისმგებლო ადგილი დაეკავებიათ ჩვენს კავშირში. მაგრამ ისინი აღარ არიან, ბრძოლაში დაიღუპენ.

ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ.

ჩვენ ბედნიერები გამოვედით ამ ბრძოლიდან და მივაღწიეთ იგი პროლეტარიატის გამარჯვებამდე. და ეხლა ჩვენ თითქოს მივაღწიეთ ყველაფერს და წინ წავიწყარით ჩვენს ფანტაზიებს. ამ ჟამად თითქოს ჩვენ საკუთარ ადგილებულნი უნდა ვიყვეთ. ეხლა თითქოს აღარ არსებობს მეტი ფანტაზიები: ესენი უკვე ამოწურულია. მაგრამ არა, ამხანაგებო, თურმე ისეა ქვეყანა შექმნილი—და შეიძლება ამაშიც იყოს ქვეყანის მშვენება, რომ მიღწეული შედეგები შლიან ახალ ჰორიზონტებს, გვიძახიან ახალ—უფრო დიდ სურვილებს და გვაიძულებენ ვესწრაფოთ ახალ პერსპექტივებს.

და ეხლა, როდესაც ჩვენ მივაღწიეთ ბრძოლის პირველ საფეხურს, დავიპყარით ძალა-უფლება, რაც წინეთ ჩვენის აზრით იყო ყველაფერი ამჟამად ჩვენ ვხედავთ, რომ ძალა-

ამხ. ჩერვიაკოვი
თბილისის საბჭოს სხდომაზე.

უფლების ხელში ჩაგდება ყველაფერს არ ნიშნავს. ძალა-უფლების ხელში ჩაგდებით ჩვენ მხოლოდ გავაძლიერეთ დაჩაგრულ კაცობრიობის თავდაცვისა და შეტევის არსენალი.

ჩვენი წითელი ჯარი

ხელისუფლების დაპყრობა სავსებით **არ** ნიშნავს კაცობრიობის სრული განთავისუფლების გარანტიას. და როგორ სრულ განთავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ჩვენ თანამედროვე მდგომარეობის გამო იძულებულნი ვართ ვიყოლიოთ ჯარი—ჩვენი სახელოვანი, დიდი წითელი ლაშქარი, რომელიც უყარს ჩვენი კავშირის ყველა მუშასა და გლეხს (ტაში). ისე არავის არ დაუღლია საბჭოთა კავშირის ყველა, თვით მივარდნილი კუთხეებიც კი, როგორც ეს შეესძელი მე, და მე თამამად შემიძლია ვსთქვა აქ, ამ საპასუხისმგებლო კრებაზე, რომ სიყვარული, ენტუზიაზმი და სიმპატიები წითელი ჯარისადმი გამეფებულია ჩვენი კავშირის ყველა კუთხეში, ჩვენ კავშირში შემავალ ყველა ხალხში.

დიახ, ეს ენტუზიაზმი, ეს სიყვარული წითელი ჯარისადმი უსაზღვროა—ეს ნამდვილი გრძნობაა, რისი ახსნაც შეიძლება მით, რომ მეშვეობა და გლეხებს, მიუხედავთ იმისა, რომ ისინი ღრმად ვერ ერკვევიან პოლიტიკურ საკითხებში, არ სწავლობენ პოლიტიკურ მდგომარეობას, როგორც ამას შვრება, ვსთქვათ ამხ. ჩიჩერინი, მაინ აქვთ ხალხური სიბრძნე. ამჟამად საბჭოთა რეპუბლიკის მდგომარეობა საბჭოთა კავშირის დასაცავად მოითხოვს წითელი ჯარის არსებობას. თუ კი მუშები და გლეხები გრძნობენ ამ წითელი ჯარის არსებობის საჭიროებას, ეს იმის გვიჩვენებს, რომ ყველაფერი ჯერ არის გაკეთებული. ცხადია, როდესაც კაცობრიობა სავსებით განთავისუფლდება ურთიერთ ბრძოლისა და შურისძიებისაგან, როდესაც გამეფდება ხალხთა შორის ნამდვილი ძმობა და მშვიდობიანობა, მაშინ ჩვენს წინ გადაიშლება უფრო ეკართო შესაძლებლობანი.

ექვი არ მეპარება მრავალი წელი გაიცლის მანამდე, სანამ კაცობრიობა მოესწრება ნამდვილ იდეალურ განწყობილებას ურთიერთ შორის და როდესაც კაცობრიობის ჭკუა, გონება, ენერგია და ნებისყოფა სავსებით მიმართული იქნება ბუნების ძალთა დაპყრობისაკენ. საბჭოთა კავშირი ჯარს იმიტომ ინახავს, რომ ჩვენ არა გვაქვს გარანტია, რომ ხვალ არ დაგვესხმიან თავს. რასაკვირველია ჩვენ ძლიერნი ვართ. რასაკვირველია ხალ-

ამხ. სუხიშვილი
(ლაპარაკობს საზეიმო სხდომაზე)

ხის ენტუზიაზმი განუზომელია: ამაში ექვი არ გვეპარება. მაგრამ ძველი ქვეყანა სასტიკი და პირფერია, ის ყოველთვის იბრძვის ყოველივე ახლის წინააღმდეგ. ახალს მოაქვს სიკეთე ძველისათვის, უფსკრულში სჩეხს მას, მაგრამ ძველი სასტიკად იბრძვის ახლის წინააღმდეგ. ძველ ქვეყანას, ვიმეორებ, არ შეუძლია მოითმინოს ახალი. და ახალგაზრდა საბჭოთა კავშირს, ეშვს გარეშეა, წინ უდევს ბრძოლის მრავალი დღეები.

ხანგრძლივი და რთული ბრძოლის პირობებში

ჩვენ მხოლოდ ეს არის დავამთავრეთ არსებობის გმირული ხანა, ხანა უშუალო ბრძოლისა პოზიციებზე, სადაც მუშები და გლეხები ეჯიბრებოდენ ერთი მეორეს მტრის უკუქცევაში და დამარცხებაში. ამჟამად ეს მარტივი ბრძოლა გადაიქცა უკვე უფრო რთულ, ხანგრძლივ და სასტიკ ბრძოლაით. ეხლა ჩვენმა საბჭოთა წყობილებამ უნდა გამოაჩაროს თავისი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე, უპირველესად ყოველისა წარმოების სფეროში. მანამ, სანამ წარმოებაში ჩვენ არ გაუსწრებთ ამერიკას, სანამ ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური სახელმწიფოები არ დარჩებიან შორს ჩვენს უკან, მანამ არ გაიმღვლება სავსებით ჩვენი კავშირის სამხედრო ბლიერება.

და ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა, ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ ბევრგან ხის გუთანს ხმარობენ, ჩვენ უნდა გავხადოთ ყველაზე მოწინავე ქვეყანად ტექნიკის სფეროში: ეს უდიდესი ამოცანაა. ამ მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მუშებმა და გლეხებმა.

მაგრამ ეს ორი ძალა ამ ბრძოლაში არ არის საკმარისი. წარსული წლების განმავლობაში ბევრმა მუშამ და გლეხმა შესწირა თავისი სიცოცხლე ბრძოლას ძველი ქვეყნის წინააღმდეგ, დაამარცხეს ეს ქვეყანა მხოლოდ და მხოლოდ მათ. უნდა გამეფდეულად ითქვას, რომ გაადორებული ბრძოლის მომენტში ინტელიგენცია არა სჩანდა, მაგრამ ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ.

მაგრამ ეხლა დგება ისეთი პერიოდი როცა უამისოდ ჩვენ არ შეგვიძლია. ბუნების ძალების დაპყრობა, ტექნიკის განვითარება, სახნისის შეცვლა უკიდურეს შემთხვევაში ტრაქტორით, ან და, ეშმაკმა წაიღოს მისი სახელი, „რიაზანული სახნისით“, მოითხოვს უსათუოდ ფიზიკური და გონებრივი შრომის შეერთებას.

ამხ. გაგლოევი
(ლაპარაკობს საზეიმო სხდომაზე).

ინტელიგენცია

და ის გარდატეხა რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ეხლა, როცა მეცნიერული მუშაკები ჯგუფ-ჯგუფობით გადმოდიან საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, აიხსნება უმთავრესად მით, რომ ისტორია ერთგვარი აუცილებლობით ერეკება მათ წარმოებისაკენ, რადგან წარმოებას ძალიან ესაჭიროება ეს მუშაკები. რასაკვირველია როგორც სჩვევია ისტორიას იმ ძალთა გამოძებნა, რომლებიც აუცილებელი არიან ისტორიულ ამოცანების შესასრულებლად. სანამ სწარმოებდა ბრძოლა ფრონტებზე, ჩვენ ცოტა გვყავდა ინტელიგენცია, მაგრამ საკმაოდ იყვნენ ყოფილი ოფიცრები, რომლებიც აწყობდენ **ჩვენს არმიას.** ძველი პერიოდი შესცვალა ახალმა პერიოდმა, რომელიც მოთხოვს გონებრივ მუშაკებს. ისინი გადმოდიან ჩვენსკენ და მე ექვი არ შემდის, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ უნდა აინაზღაუროს დაკარგული დრო, მით უფრო, რომ ის ყოველ შემთხვევაში 5 წლის განმავლობაში ნაკლებ მონაწილეობას იღებდა, ისევნებდა. სავსებით ბუნებრივია, რომ ის იმიტომ ისვენებდა, რომ არ იყო დრო აზროვნებისათვის, საჭირო იყო მოქმედება. ეხლა საჭიროა არა მარტო მოქმედება, საჭიროა განსაკუთრებით აზროვნობა. და აი ეხლა მან განსაკუთრებით უნდა დასჭიმოს ძალები, ის ეხლა უნდა ჩაებას ჩვენი მრეწველობის მოგვარების საქმეში.

დავეწიოთ ამერიკას.

ჩვენ უნდა გამოვძებნოთ საუკეთესო, ყველაზე უფრო ხელსაყრელი ფორმები ფიზიკური და გონებრივი შრომის შესაერთებლად, და, ექვი არ შემდის, რომ ჩვენ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში უნდა დავეწიოთ ამერიკას. აი ის პრაქტიკული ფანტაზია, რომელიც ამჟამად სდგას ჩვენს წინაშე.

მე ვფიქრობ, რომ ის არც ისე დიდია, როგორც ის ფანტაზია, რომელიც იყო 25 წლის წინ დამფუძნებელი კრების შესახებ. მე ვფიქრობ, ეხლანდელი ფანტაზია, თუ როგორ დავეწიოთ ჩვენ ამერიკას ტექნიკის დარგში, ორჯერ უფრო ადვილი მისაღწევია. და ეს ამოცანა დასმულია ამ ჟამად მუშებისა და გლეხების წინაშე. ამხანაგებო, რა არის ის მთავარი საშუალებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმატებას. მთავარი საშუალება,—ეს არის მასების ძლიერება.

საბჭოთა ხელისუფლება სწორედ იმით განსხვავდება ყველა ხელისუფლებისაგან მსოფლიოში, რომ ის გამოდის საშინელ ძველ პირობებისაგან და ყოველთვის აღწევს უფრო მეტ შედეგებს, ვინემ ეს მოსალოდნელია.

ამხ. ქავანაშვილი
ლაპარაკობს თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

ამასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლება ემყარება მუშების და გლეხების თანაგრძნობასა და აღფრთოვანებაზე. ჩვენ ექვი არ შეგვდის რომ პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც სდგას ჩვენს წინაშე, დაძლეული იქნება პირველ ყოვლისა ინტელიგენციის ენტუზიაზმით და, მეორეს,—მუშათა და გლეხთა მასების გაძლიერებით.

ჩვენი ერთ-ერთი ციხე-სიმაგრე

და აი ამ მიზეზებმა, რომ ყოველთვის უნდა მივმართოთ მასებს, მივიღოთ მასებისაგან ენერგია და ნებისყოფა, აიძულეს საბჭოთა ცენტრალური მთავრობა მოეწვია სესია თბილისში. ამ ხელოდ ის მთავრობაა ძლიერი და ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი, რომელსაც შეუძლია დაემყაროს თავისი მოსახლეობის თუნდაც 90 პროცენტის დახმარებას. საბჭოთა ცენტრალურ მთავრობას აუცილებლად (არა მარტო სასარგებლოდ, არამედ აგრეთვე აუცილებლად), მოაჩნია, რომ ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც თავისი ტერიტორიალური მდებარეობით უკურესად თავისებურ პირობებში

პროფ. ჯაფარიძეული
მისი სიტყვის გამო თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომაზე

იმყოფება, იყოს საბჭოთა ძლიერების **ერთ-ერთი ბაზა.**

მაგრამ რა გზით უნდა შეიქმნათ ეს ბაზა. წინად ცარიზმიც აშენებდა მას. აგებდა რა ულმეერეს პირველხარისხოვან სიმაგრეებს. მაგრამ 1914 წლის იმპერიალისტურმა ომმა დაამტკიცა, რომ მეფის ძლიერი სიმაგრეები თავდაცვის ძლიერ დასაყრდენებისაგან იქცა ნანგრევებად გეზანანის ზარბაზნების ყუმბარებს ქვეშ.

საბჭოთა რესპუბლიკა ქმნის ბაზას იმ სოლიდარობით, ერთსულოვნობით, რომელიც არსებობს რესპუბლიკის უზენაეს ორგანოსა და მის მცხოვრებთა შორის, და მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირის ცაკის მე-3 სესიის სხდომები ტფილისში, ამიერ-კავკასიის ფედერაციის დიდა—ქალაქში, ხელს შეუწყობენ ამ ერთსულოვნობას და ეს კიდევ უფრო მეტიდროთ დაკავშირებს ორეულ სოფლების გლეხებს არა მარტო საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობასთან, არამედ მთელ კავშირთან. მე ექვი არ მეპარება იმაში, რომ კავკასიონის ქედის გადმოღმა მცხოვრებ გლეხის აზრი, მე-3 სესიის შემდეგ არ შეერდება ამიერ-კავკასიის ფედერაციაზე. მისი აზრი გავრცელდება მთელ კავშირზე. ჩვენ ვართ ხელისუფლება, რომლის წინაშე დასმულია ამოცანა არა მარტო ხელი შეუწყოს თავის ხალხის კეთილდღეობას, არამედ ჩვენ დაინტერესებული ვართ მთელი ჩაგრული კაცობრიობის განთავისუფლებით. მე ექვი არ მეპარება იმაში, რომ ურთიერთ-დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ხალხს შორის ამამძრავებს კავკასიის გლეხის აღორძინებას, გაადვიძებს მის სურვილს, მან ნებისყოფას იმ მხრივ, რომ თუ გლეხს სურს ნამდვილი თავისუფლება, თუ გლეხს სურს თავისი ბავშვების ნამდვილი უზრუნველყოფა—ეს განხორციელდება მხოლოდ მაშინ,—როდესაც მთელი მსოფლიოს ხალხები დაამარცხებენ თავიანთ მჩაგვრელებს. მე მინდა, რომ ეს აზრი ღრმად ჩაინერგოს მთელი კავშირის მუშათა და გლეხთა და კერძოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციის გლეხთა შორის. კავშირი ცენტრსა და ამიერ-კავკასიის გლეხს შორის. ექვს გარეშეა, გაადვიძებს ამიერ-კავკასიის გლეხის ამ აზრს და მტკიცედ შთაუნერგავს მას გულში. (**ტაში და ოვაციები, ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“**).

ამხ. ლადო სუხიშვილის სიტყვა

მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების თბილ. საბჭოს სახელით ამხ. სუხიშვილი ესალმება ს. ს. ს. რ. უზენაეს ორგანოს. მან აღნიშნა, რომ საქართველოს პროლეტარიატი და გლეხობა 4 წლის განმავლობაში მედგრად იცავდა საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვრებს. ავგისტოში მენშევიკების მიერ მოწყობილმა „აჯანყებამ“, რომელიც მოწყობილი იყო იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ფულებით, აჩვენა ქვეყანას საქართველოს პროლეტარიატის ის ფოლადისებური რევოლიუციონური ნებისყოფა, რომელზედაც იმსხვრევა მენშევიკების ყველა ოცნებანი. ჩვენ ვეუბნებით მენშევიკებს და მათ ბატონს—ჩურჩილს: „ხელები შორს საბჭოთა ხელისუფლებისაგან. ჩვენ არ გვსურს თქვენი დახმარება და მზრუნველობა. ჩვენ ვცხოვრობთ, ვიზრდებით და ვეითარდებით უთქვენოდ ს. ს. რ. კავშირის მუშათა და გლეხთა საერთო ოჯახში“. თავისი სიტყვა ამხ. სუხიშვილმა დაამთავრა ამხანაგური სალამით მ. ი. კალინინისადმი.

ამხ. ქავანაშვილის სიტყვა

ყოფილი მუშა მენშევიკების სახელით მუშა ქამანაშვილი ესალმება მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წარმომადგენლებს. ის კატეგორიულად აცხადებს, რომ ყოფილი მენშევიკი მუშები სცდილობენ საბოლოოდ ლიკვიდაცია უყონ არალეგალურ მენშევიკურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ვინაიდან ამ მუშაობას ხალხი მიჰყავს ავანტიურიზმისა და დაღუპვისაკენ. მათ აგრეთვე დამღუპველად მიაჩნიათ შოვინისტური და ვიწრო ნაციონალისტური მისწრაფებანი. მეორე ინტერნაციონალი მთთვის სრულებით მიუღებელია, ვინაიდან ის თავისი მოქმედებით მუშებს მარტო ზიანს აყენებს. სწყვეტენ რა ყოველგვარ კავშირს მეორე ინტერნაციონალთან, ყოფილი მენშევიკი მუშები მოუწოდებენ ყველას შესწყვიტონ ყოველგვარი ლეგალური და არალეგალური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ყოფილი მენშევიკი მუშები მოითხოვენ აგრეთვე საქართველოს ყოფილ მთავრობის ლიკვიდაციას და ემიგრაციაში მყოფ ახალგაზრდობის დაბრუნებას, რომელიც საქართველოსათვის დიდ ძალას წარმოადგენს, რომ მან მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების საქმეში.

მისალმებანი საკავშირო ცაკის მესამე სესიის

ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა

ჩვენთვის, არსენალის ქარხნის მუშებისათვის, ყველაზე უფრო საგრძნობი იყო როგორც თვითმპყრობელობის მძიმე უღელი, ისე მენშევიკების ბატონობის სულთამხუთავი პოლიტიკა. თვითმპყრობელობის დროს ჩვენ გვიყენებდნენ როგორც იარაღებს ჩვენი ხალხის, ამიერ-კავკასიის მუშა-გლეხების დასამონავებლად. ასეთივე მდგომარეობა გაგრძელდა მენშევიკების დროსაც. ჩვენ არ გვაძლევდნენ უფლებას ჩვენივე მომძე ამიერ-კავკასიის მრავალფეროვან ერებთან მშვიდობიანი ცხოვრებისას, სთესავდენ რა ჩვენში შურისძიებას და მტრობას. მენშევიკებს არ ჰქონდათ სურვილი ჩვენი მდგომარეობის ვაუმჯობესებისა, მათ არ ჰქონდათ სურვილი ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრებისა და კარგობა-მეურნეობის აყვავებისა. მათში გაძლიერებული იყო დაპყრობითი პოლიტიკა და მოძმეთა სისხლზე თავიანთ „დამოუკიდებლობის“ აშენება-გამაგრების სურვილი. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, საქართველოს მშრომელმა ხალხმა დღევანდელი ჩვენი ძვირფასი სტუმრების დახმარებით დაამხო ნიკოლოზის ჩინჩხზე აკინძული მენშევიკების „დამოუკიდებლობა“ და შეჰქმნა ძმურ-ამხანაგური საფუძველზე აგებული ნამდვილი დამოუკიდებლობა საქართველოს და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა. ჩვენ ვხედავთ, რომ დღითი-დღე უფროდაუფრო ძლიერდება და წინ მადის, როგორც წარმოება-მეურნეობის, ისე ჩვენი მუშების მდგომარეობაც.

ჩვენ დაუღალავად ვმუშაობთ, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ საბჭოთა აღმშენებლობაში; ჩვენ ვშრომობთ, რათა ავაყვავოთ და სასაზღვრო დონეზე დავაყენოთ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკები, რითაც ლენინის ჩავცემთ მსოფლიოს ბურჟუაზიას.

ჩვენი მხურვალე სალამი ჩვენ ძვირფას სტუმრებს!

გაუმარჯოს ს.ს.რ.კ. მე-3-მე სესიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის შტაბს მე-3-მე კომინტერნს!

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ საარგანლერიო ქარხნის მუშები.

ერევანის საბჭოების ერილობისაგან

ერევანის ქალაქის და მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-4 ყრილობა მხურვალეთ ესალმება მუშათა და გლეხთა საბჭოების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს, რომლებიც საქმიანი მუშაობის საწარმოებლათ შეიკრიბენ ამიერ-კავკასიის ცენტრში—თბილისში, რითაც კიდევ უფრო განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის ერების გაერთიანებას, რომელსაც სამარკველი ჩაუყარა ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ. მშრომელთა მასების ნებისყოფამ დაამსხვრია საბნელის და უმეცრების ჯაჭვები. მშრომელი ერების შეგნებამ ბოლო მოუღო ნაციონალურ შუღლს და მტრობას. ყირიმობა აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინების ფაქტს და დაწუნებულია, რომ უმაღლესი საბჭოთა ორგანოების გამოცდილი ხელმძღვანელობით და დახმარებით სომხეთის პროლეტარიატი მასები წარმატებით დაამთავრებენ სოციალისტური აღშენებლობის საქმეს და განატკეცებენ ოქტომბრის დიდი რევოლიუციის პონტაპოვართ. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს მის ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს საერთაშორისო ცაკს!

ყირილობის პრეზიდიუმი.

ავტონომიური ყარაბახის მშრომელთაგან

მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის მშრომელთა საბჭოების მეორე ყრილობა,—იმ მშრომელთა საბჭოების ყრილობა, რომლებმაც კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ლონისძიებების წყალობით საშუალება მიიღეს ნამდვილ თავისუფლების და ნაციონალური მშვიდობიანობის ატმოსფერაში ყველა მშრომელებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ილიჩის ანდერძის განხორციელებაში, იწყებს რა წლიური მუშაობისათვის ჯამის გაკეთებას და ოლქის კულტურულ-ეკონომიური აღორძინების გზების გამონახვას, მხურვალეთ ესალმება დიდი საბჭოთა კავშირის მშრომელთა წარმომადგენლებს, რომლებიც შეიკრიბენ ცაკის მესამე სესიაზე. მთიანი ყარაბახის მუშები და გლეხები, რომლებიც ბედნიერი არიან იმით, რომ მონაწილეობას იღებენ **საერთო ბრძოლაში** კაცობრიობის **განთავისუფლებისათვის,** არ დაზოგავენ ძალას და ენერგიას პროლეტარული სამშობლოს **მშენებლობის** საქმეში, რადგან მტკიცეთ დარწმუნებული არიან, რომ თავისუფლების ჩირაღდანი, რომელიც აანთო გენიალურმა მასწავლებელმა—ლენინმა, არასოდეს არ გაქრება ყარაბახის მთებში.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

ყირილობის თავმჯდომარე კარაკოზოვი.

უკანასკნელი ცნობები

აჯანყება ოსმალეთში.

აჯანყების რაიონი

ანგორა. 2 მარტი. ოსმალეთის მთავრობის წრეებში აცხადებენ, რომ საჭიროა ანგარაში გაეწიოს აჯანყების რაიონის დიდ სივრცეს და მთიან ადგილის ხასიათს. მეამბოხეთა მთაური ძალები თა ვმოყრილია შემდეგ ადგილებში: პალუდან ჩოდილოეთით და დიარბეკერიდან სამხრეთით, ხარბუტის ვილაიეტი და შავი-ქვის მაღაროების რაიონი.

სამხედრო ჰაერონავიანები.

ანგორა. 2 მარტი. მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმით, ჯარების კონცენტრაცია ძალიან დიდ დროს მოითხოვს. ჯერ-ჯერობით მოქმედებენ მხოლოდ ჰაეროპლანები.

შეიხ-სეიდის ძალები.

ანგორა. 2 მარტი. მიღ ბულ ცნობების თანახმად, ქურთისტანის ყველა ტომები არ ამყოფებიან შეიხ-სეიდის გავლენის ქვეშ. ანგორის მთავრობამ უკვე მიიღო ქურთისტანის ზოგიერთ მეთაურებისაკენ განცხადება ლოიალობის შესახებ. ამ განცხადებებში შეიხ-სეიდს უწოდებენ ინგლისელების მსაბურს.

დეპეშები სტამბოლიდან და ადანიდან.

ანგორა, 2 მარტი. სტამბოლის და ადანის სხვადასხვა ორგანიზაციების დელეგატებმა მთავრობას გამოუგზავნეს დეპეშები, რომელშიაც ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე დაიცვან რესპუბლიკა.

ოფიციალური ცნობები.

ანგორა, 2 მარტი. ოფიციალურ ორგანოს „ჯუმურიეტის“ ცნობით დიარბეკირი, მალატია და არგანა მეამბოხეთა ხელშია. მეამბოხეებმა დაიკავეს აგრეთვე დერსიმი.

„ეანი ამ უკანასკნელ ფაქტს დიდ მნიშვნელობას აძლევს, იმის გამო, რომ ამ რაიონში შესვლა ძალიან გაძნელებულია და მთავრობის ჯარების შეტევა აჯანყებულების წინააღმდეგ თითქმის შეუძლებელია. მეამბოხეთა მიერ დიარბეკირის დაკავების შესახებ ოფიციალური არავითარი ცნობები არ მოიპოვება.

აჯანყებულთა პროკლამაციები.

ანგორა. 2 მარტი. პროკლამაციებში, რომელსაც ავრცელებენ აჯანყებულები აჯანყების რაიონში სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: „ხალიფი თქვენ გელით. უბალიფატოთ არ არსებობს ისლამი. ჯერ არასოდეს მართლმორწმუნეთა მბრძანებელი არ განუდევნიათ თავის ქვეყნიდან. ახლანდელი მთავრობა ყოველივე საშუალებას ხმარობს, რომ ხალხში მოსპის რწმენა. ქალები შეუფერებელ ტანსაცმელში დაიარებიან. სკოლებში ქალაგებენ ურწმუნოებას“.

აჯანყება გარედან არის მოწყობილი

ანგორა. 2 მარტი. აჯანყებულთა პროკლამაციები ისეთი წესით ვრცელდება, რომ ამას შეიხ სეიდი თავისი ტექნიკური საშუალებებით ვერ შეასრულებდა. აჯანყებულებს, რომლებიც ტყვეთ წაიყვანეს, აცვიათ უცხოეთში შეკერილი ტანსაცმელი. ეს ორი ფაქტი ამტკიცებს, რომ აჯანყებულ ბ უკეთ სახელმწიფო ეხმარება. ზოგიერთ ტყვეებს ჯაბეებში უცხოეთის ქალაღდის ფულები უპოვეს. შეიარაღებული არიან აჯანყებულები უცხოეთის დამზადებული თოფებით.

ეგერტი მუშავდა, ძირს ეგერტის პარტია!

**ბერლინი, 2 მარტი. კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ აქვეყნებს შემდეგ ლოზუნგებს: „ეპერტი მოკვდა. ძირს ებერტის პარტია. ყველანი კომპარტიაში. ძირს ებერტის იუსტიცია. ებერტის მასიურმა ტერორმა სიკვდილი განუმზადა მრავალ ათას მუშას, ხოლო ათეული ათასი მუშა ჩაჰკარა ციხეებში, ებერტმა გადაარჩინა კაპიტალისტური გერმანია ბოლშევიზმისაგან და გერმანელი მუშები ხელში ჩაუდო ხარბ-ბურჟუაზიასა. ძირს დიუსეს გეგმა! გაუმარჯოს 8 საათის სამუშაოს დღეს და ცხოვრებისათვის საჭირო ხელფასს! გაუმარჯოს მუშათა კონტროლს! ებერტი იყო მონარქისტების და თეთრი გენერლების აგენტი. ძირს ლიუფერის მონარქისტული მთავრობა! გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბ

ს. ს. ს. რ. სახ. კომფასარმა საბჭო
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

იაპონია შეუდგა ჭარეგის გაყვანას სახალინიდან

პოლონეთის გზეთები მოითხოვენ ხელის აღებას უგუნურ პოლიტიკაზე საბჭ. კავშირის მიმართ

გერმანიაში პარტიები ემზადებიან ახალი პრეზიდენტის ასარჩევათ

ინგლისის დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ვაჭროგით.—ბოლო ახლო ხანში დასვამს ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს.—მოხდა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის საფოსტო-სატელეგრაფო კავშირის აღდგენის შესახებ დამტკიცებული ხელშეკრულებების გაცვლა-გამოცვლა.—ფრანგი კომუნისტები საბჭოდრო კრედიტების წინააღმდეგ.—კომუნისტების და მუშათა ორგანიზაციების დევნა საფრანგეთის კოლონიებში.—გაფიცვა ლოძში.—აჯანყება კანამის რესპუბლიკაში.

სახალინს სცლიან.

ტოკიო, 2 მარტი. იაპონიის ჯარების გაყვანა სახალინიდან დაიწყო 27 თებერვალს.

პოლონეთი გონივრულ გზას ადგება

ვარშავა, 3 მარტი. პოლონეთის პრესა ლონდონ გარეშე საქმეთა კომისიაში ინგლისის ელჩ-კამათის შემდეგ უფრო ობიექტურულ კამათის ბოლოს. ს. ტრონ-ბერ-ბიანი ხასიათი მიიღო. ს. ტრონ-ბერ-ბერ გაზეთი „ვარშავსკა“-ში ეკამათე-ს ეკონომისტს, რომელმაც განაცხა-ა, რომ საბჭოთა კავშირი ისეთივე ბერია პოლონეთისათვის, როგორც ბერია პოლონეთისათვის, როგორც ბერმანია. ტერნსკი ასეთ თვალსაზ-ბერს შემდეგ ითხოვს და აღ-ბერს, რომ გარეშე საქმეთა კო-ბერიაში გამართულ კამათის დროს ბერეკვეკვა, რომ ყველაზე უფ-ბერი საშიშ მტერს პოლონეთი-ბერ წარმოადგენს გერმანია, ხო-ბერ საბჭოთა კავშირთან საერთა-ბერ შეიდობიანი ურთიერთობის დამყა-ბერა. პოლონეთს თავისი პოლიტი-ბერ შეუძლია ხელი შეუწყოს გერ-ბერ საბჭოთა კავშირის დაახლოვე-ბერ. არაფერი ისე არ შეუწყობს ბერ-ბერ გერმანია-საბჭოთა კავშირის დაახლოვებას, როგორც მოთვენარი ბერ შეტევითი პოლიტიკა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„კურიერ პოლსკი“ ხაზს უსვამს, რომ რადეკის უკანასკნელი წერილი პოლონეთის საზღვრების შესახებ მოასწავებს საბჭოთა დიპლომატიაში პოლიტიკურ შეხედულებათა სერიოზულ გადადგილებას. რადეკი აღარ ლაპარაკობს, რომ პოლონეთი მონაწილეობას იღებს ანტისაბჭოთა ბლოკში და რომ პოლონეთის შინაური დაბრკოლებანი საშუალებას არ მისცემს მას გახდეს საშიშარი მტერი საბჭოთა კავშირისათვის. **საბჭოთა კავშირთან მეგობრულ განწყობილებას რადეკი სთვლის პოლონეთის დასავლეთ საზღვრების გარანტიად. გაზეთი აღშფოთებულია პოლონეთის პოლიტიკოსთა ის წრეების ბრალმდებლობით, რომელნიც აწარმოებენ პოლეპარაკებას ტრეპოვებთან.**

ინგლისი დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ვაჭროგით

ლონდონი, 3 მარტი. საგარეო ვაჭრობისათვის შეღავათების მინიჭების კანონპროექტის მეორეთ წაკითხვის დროს მუშათა პარტიის წევრმა კენვორტიმ განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ადრე თუ გვიან უნდა შეეხოს საკითხს რუსეთთან ვაჭრობის შესახებ. კენვორტის სიტყვით, ეს უნდა მოხდეს ეხლანდელ მთავრობის დროს, **რადგან დიდი მნიშვნელობა ექნება რუსეთის საწარმოვო ძალების აღდგენას და რუსეთის ბაზრის გახსნას. მთავრობამ ერთგვარი დახმარებაც უნდა გაუწიოს რუსეთს და ეს ყველაზე უკეთესად შეიძლება მოხდეს შეღავათების კანონის გაფართოების გზით.** „მე იმედი მაქვს, რომ მთავრობა განიხილავს ამ საკითხს. ჩვენ მივიღეთ გარანტიები საბერძნეთის ელექტროენის წარმოებებს, ასეთივე გარანტიები შეიძლებოდა მიგვეცა რუსეთის სამანქანო წარმოებებს.

ბილიერანის იერიშები

პარიზი. 1 მარტი. ნაციონალური ლიგის ბანკეტზე მარსელში დიდი სიტყვა წარმოსთქვა ყოფილმა პრეზიდენტმა მილიერანმა, რომელმაც შემდეგნაირად გამოხატა ნაციონალური ლიგის პროგრამა: გაერთიანება მშვიდობიანობის და წესრიგის შენარჩუნებისათვის; ბრძოლა გაფიცვების წინააღმდეგ; ბრძოლა საგარეო საშიშროების წინააღმდეგ და იმ საშიშროებასთან, რომელიც ემუქრება საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობას. მილიერანმა სავსებით მოიწონა ერრიოს უკანასკნელი სიტყვა და განაცხადა: „გახსოვდეთ, რომ საფრანგეთი, როდესაც იხილავს მშვიდობიანობის, ზავის საკითხს, ყოველთვის ვრძნობს ხანჯალს თავის გულთან ერთი სანტიმეტრის მანძილზე“.

მილიერანმა გაიღაშქრა სამხედრო სამსახურის ვადის შემცირების წინააღმდეგ და სასტიკათ გააკრიტიკა საბჭოთა კავშირის ცნობა და განაცხადა, რომ ის ამას სისულელეთ სთვლის და არ ხედავს არავითარ ლეგიტიმურულ მიზეზს, რომელიც ამართლებდეს ამ აქტს.

ბრძოლა ფრანკის კურსის განმტკიცებისათვის,—განაგრძობს მილიერანი,—შეიძლება გამარჯვებით დამთავრდეს მხოლოდ მრეწველობის აღორძინებით. რეკვიზიციის პოლიტიკა სასაცილო და საზიზღარია, მონოპოლიის გაფართოება კი სისულელე იქნებოდა. თავი დავანებოთ ბრძოლას ურთიერთშორის. მიეცეთ საფრანგეთს მშვიდობიანობა და მიემართოთ საერთო საარჩევნო უფლების გადამწყვეტ ხმას, რომელიც თავის სიტყვას იტყვის სამ მაისს ახალ არჩევნებზე.

ელჩთა კონფერენციაზე

პარიზი, 1 მარტი. ელჩთა კონფერენცია შეუდგა მოხსენების განხილვას მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის და გერმანიის მიერ განიარაღების ვალდებულებათა დარღვევის შესახებ.

ჰავასის სააგენტო უარყოფს ხმებს, თითქოს **ინგლისის** მთავრობას განზრახული ჰქონდეს წინააღმდეგობა გაუწიოს **საკონტროლო** კომისიის მოხსენების გამოქვეყნებას იმ მოსაზრებით, **რომ** მოხსენებაში არ არის აღნიშნული არც ერთი **სერიოზული** ფაქტი გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა დარღვევისა. ჰავასის სააგენტო იტყობინება, **რომ**, პირიქით, მოხსენება აღნიშნავს გერმანიის მხრივ ვალდებულებათა დარღვევის მრავალ შემთხვევას. საკითხი მოხსენების გამოქვეყნების შესახებ არ გარჩეულია მოკავშირეთა **კომიტეტში**, ვინაიდან ამ საკითხის გადაწყვეტა სავსებით **შედის** მოკავშირე **სახელმწიფოების კომპეტენციაში.**

იაპონიის ამბები

ტოკიო. 2 მარტი. მთავრობა დათანხმდა მიიღოს **საყოველთაო** საარჩევნო **უფლების კანონპროექტში** სეიიუკაის **პარტიის** მიერ **შეტანილი შესწორებები.** მთავრობამ ამით აიცილა **თავიდან** მოსალოდნელი განხეთქილება. **შესწორებები უმნიშვნელოა.**

კანონპროექტს იხილავს **ქვემო პალატა.** მთელს **სახელმწიფოში** იმართება **დემონსტრაციები** საყოველთაო **საარჩევნო** უფლების მოთხოვნით. **მოსახლეობის** რეაქციონური ნაწილი ლოცულობს ეკლესიაში და ღმერთს სთხოვს, **რომ** არ იქნეს გატარებული **კანონპროექტი.** სეიუიოქტოს **პარტია** მოითხოვს საარჩევნო **უფლების** მიცემას **მხოლოდ** ოჯახის **უფროსებისათვის.**

აჯანყება კანამის რესპუბლიკაში

ნიუ-ორკი. 3 მარტი. პანამის რესპუბლიკის (ცენტრალურ **ამერიკაშია**), **ჩრდილოეთის** განაპირა **რაიონების ინდოელმა** მცხოვრებლებმა **დაიწყეს** აჯანყება. ისინი მოითხოვენ **დამოუკიდებლობას.** აჯანყებულებმა **მიმართეს** პანამის **და** ამერიკის **მთავრობებს** მოწოდებით, **რომელშიაც** ისინი აღშფოთებას **გამოსთქვამენ** თეთრების **მიერ ჩადენილ ძალადობის** გამო. ხმების **მიხედვით,** აჯანყებულებმა **დასწეს** რამოდენიმე **სოფელი.** აფრიკიდან **მოსული** კრეისერიდან **გადმოსხეს** ქვეითთა ჯარის **რაზმი.**

ინგლისი

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 3 მარტი. „პრავდა“ ასეთი სათაურით მოწერნავეში სწერს:

„ერთი მეორეზე გამოესალმენ წუთისოფელს სოციალ-დემოკრატიული მორაობის უდიდესი მოღვაწენი: ებერტი, ბრანტინგი, ლიანი—ნორვეგიის პროფკავშირების ბელადი, არსებითად ისიც სოციალ-დემოკრატი.

სოციალ-დემოკრატიის ამ ბელადებმა დაიმსახურეს ბურჟუაზიის ნდობა და ყურადღება. ისინი იცავდენ კაპიტალიზმს, ადუნებდენ მუშათა კლასის ნებისყოფას და რყვნიდენ პროლეტარიატს.

ესენი იყვნენ არა უბრალო ხალხი, არამედ სხვებზედ უფრო მსვლელები, განსაზღვრული პარტიების და ორგანიზაციების ბელადები. და როდესაც ბურჟუაზია მათ თანაგრძნობას უცხადებს, ამით ის ნდობას და თანაგრძნობას უცხადებს მთელს ეგრედ წოდებულ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას, მთელს მეორე ინტერნაციონალს, მთელს ამსტერდამს.

მეფეების მიერ სოციალ-დემოკრატებისათვის თანაგრძნობის გამოცხადება ააშკარავებს, რომ სოციალ-დემოკრატიასა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიას და ბურჟუაზიულ-ფეოდალურ რეაქციას შორის არსებობს იდეური კავშირი.

თუ როგორ გამძლეა ძველი, დაწყევლილი შინაური ტრადიციები; ამის შესახებ აშკარად ლაღდებს სოციალ-დემოკრატიის გამძლეობის ფაქტი. ამდენი ხნის ომისა და ვერსალის საშინელ „ზავის“ შემდეგ, სოციალ-დემოკრატია კიდევ ცოცხალია. მას საძაგელი სუნი ასდის, მაგრამ ის კიდევ ეპოტინება სიცოცხლეს. მასში შეაქვთ ბარმატის ოქროს ღვთაებრივი ელექსირი, ის სავსებით ბურჟუაზიის ხელშია და მაინც სუნთქავს და ბედავს სიცოცხლის განგრძობას.

აი რაში მდგომარეობს მუშათა ლასის ტრაგედია.

მაგრამ ასეთ სასაძაგლესაც აქვს ბოლო. ნელის ნაბიჯით სწარმოებს მუშათა გამოფხიზლება. მეფეებთან დაძმობილების იდეალია შესაძლებელია მხოლოდ პროვინციალურ ქვეყნებში. ის ეზიზღება ეალანდელ ევროპას, სადაც მუშათა კლასი არა ერთხელ იწოდა რევოლიუციონურ ბრძოლების ცეცხლში. საჭიროა რევოლიუციონურ მუშაკების მტკიცე გაცხოველებული მუშაობა, რომ საბოლოოდ დამსხვრეულ იქნეს ყოველგვარი ილიუზია. და ეს მოხდება ისევე აუცილებლად, როგორც თავის დროზე დაიმსხვრა „ხალხის საყვარული“ რუსეთის მეფისადმი, რწმენა ბურჟუაზიისა და მენშევიკ-ესერებისადმი.

და ეს ასე იქნება, როგორც არ უნდა დაუჭიროს მხარი კაპიტალმა თავის ერთგულ სოციალ-დემოკრატებს“.

ჩვენი საჰაერო ფლოტი

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მეორე ფლის თავის გამო

მოსკოვი. 3 მარტი. საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმმა საზოგადოების ორსებობის 2 წლის თავის გამო, მიმართა მოწოდებით ყველა მშრომელებს. მოწოდებაში ნათქვამია:

„1923 წ. 8 მარტს მოსკოვში დაარსებული იქნა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება. წარსულ 2 წლის განმავლობაში საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ძლიერ საზოგადოებრივ და მუშურ-გლეხურ ორგანიზაციად. საზოგადოების ლოზუნგი: „მშრომელო ხალხო ააშენე საჰაერო ფლოტი“, მართლაც მისწვდა მშრომელ ხალხს. წითელ საჰაერო ფლოტის განმტკიცების საქმეში მონაწილეობას იღებდა არა მარტო საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების 2 მილიონი დარაზმული წევრი, არამედ მილიონი მშრომელები—საზოგადოების არა წევრები.

საზოგადოებამ შეაგროვა 5 მილიონი მანეთი, ფართოთ იქნა დაყენებული ავიაციის პროპაგანდა, აშენებულია და გადაეცა სამხედრო საჰაერო ფლოტს საჰაერო რაზმები და ესკადრილიები: „ულტიმატუმი“, „ილიჩი“, „კრასნი ბალტიელი“, „ლენინი № 1“, „წითელი მოსკოვი“, „ლენინი № 2“—სულ დაახლოებით 100 თვითმფრინავი. საზოგადოებამ შეიძინა აგრეთვე 25 სამოქალაქო საჰაერო ტაციო თვითმფრინავი, რომლებიც მუშაობენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებში. საზოგადოებამ მოაწყო ჰაეროდრომები, დახმარებას უწევს საჰაეროო სკოლებს და ქარხნებს თვითმფრინავების აშენების საქმეში.

ჩვენი ლოზუნგია: „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების 3 მილიონი აქტიური და მომზადებული წევრი“.

თავისუფალ წევრობის შესახებ

მოსკოვი. 3 მარტი. გაიმართა თავისუფალ საზოგადოებათა საგუბერნიო და სარაიონო საბჭოების პრეზიდიუმების ფრაქციების თათბირი. თათბირს დაესწრო „რემდ

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 6 მარტს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი შეიმუშაონ თვით რაიკომებმა და უჯრედებმა.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **ასრიბეკოვი.**

პარტიული პრეგა სოფ. სართიჭალაში

(გარე-კახეთი)

1 მარტს, 1925 წ. სოფ. სართიჭალაში შესდგა გარე-კახეთის რაიონის პარტიული კრება. კრებას დაესწრო 64 ამხანაგი. კრებამ მრავალი საყურადღებო საკითხი გაარჩია.

სხვათაშორის მოსმენილი იქნა მოხსენება ამხ. დ. კოპლატაძისა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა გასაგები ენით დაასურათა თვითეული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და ხაზი გაუსვა მსოფლიო ოქტომბრის რევოლიუციის განვითარებას.

დასასრულ კრებამ მოისმინა აგრედვე გუგუშვილის მოხსენება „მენშევიკების ახალი ტაქტიკის“ შესახებ, რის შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მენშევიკურ პარტიას მისი 3 წლის ბატონობის დროს საქართველოში მშრომელი გლეხი და მუშა საბოლოოდ ჩამოსცილდა. ამ ჩამოცილების შემდეგ მენშევიკურმა პარტიამ მახვილი მშრომელი ხალხისკენ იბრუნა და მიეკედლა მუშის და გლეხის მტრებს: თავად-აზნაურებს, მღვდლებს და ყველა ჯურის კონტრრევოლიუციას დაჰკარგა რა მან გ. | წ. აგვისტოში თავისი არსებობის ყოველგვარი საფუძველი მენშევიკური პარტია ახალი ტაქტიკით, ახალი გზით სცდილობს განახორციელოს თავისი ძველი მიზნები მშრომელი საქართველოს სამტროდ და საზიანოდ.

მენშევიზმის ახალი გზა მშრომელი ხალხის ახალი საფამლავითაა გაჟღენთილი. ჩვენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მენშევიზმის ყოველგვარი გზების და მისი ყოველგვარი მიმართულების წინააღმდეგ.

ჩვენი განაჩენია: სიკვდილი მენშევიზმს! ძირს მოღალატენი!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

იამანი

თამგაკოს ქარხანა „პროლეტარი“-ს კომუჯრედი № 4.

(არსენალის რაიონი)

ამჟამად ზემოხსენებული უჯრედი აერთიანებს 61 კაცს, რომელთაგან 24 კომპარტიის წევრია და 37 კანდიდატი. ფებრიკაში დაარსებულია აგრეთვე ახალგაზრდა ლენინური კომკავშირის უჯრედი. თვეში ორჯერ იმართება კომკავშირის უჯრედის გაერთიანებული სხდომა კომკავშირის უჯრედთან ერთად.

ამას გარდა ამ უჯრედისაგან კომკავშირის უჯრედის ბიუროსთან მიმაგრებულია მომზადებული ამხანაგი, რომელიც სათანადოთ ხელმძღვანელობს კომკავშირის მუშობას. კომუჯრედის სხდომებზე კომკავშირის უჯრედის მდივანი რეგულიარულად ანგარიშს ადგენს ბიუროს მუშობის შესახებ.

ამასთანავე ერთად აწარმოებს მუშობას საშეფო სოფლებში ბოგდანოვკაში და ახალ-სოფელში კახეთში, სადაც გახსნილია სკოლები და სამკურნალო პუნქტები. უჯრედს მჭიდრო კავშირი აქვს მესანგრეთა ბათალიონთან.

უჯრედში არც ერთი წევრი არ არის უსაქმოდ. უჯრედმა დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა მუშებს შორის. რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ მოწყობილი სკოლებში ჩაბმული არიან, როგორც პარტიული, ისე უპარტიო მუშები.

რ—ვი.

ქალთა შორის მუშაობა ლეჩხუმის მაზრაში

შეიძლება ითქვას, რომ ლეჩხუმის მაზრაში ქალთა შორის მუშობა სრულებით არ სწარმოებს.

რა არის ამის უმთავრესი მიზეზი? ის, რომ ლეჩხუმის მაზრას არა ჰყავს მომუშავე ქალები, რომლებიც უნდა დაიგზავნონ ყველა რაიონებში და შეაკავშირონ, დარაზმონ მშრომელი ქალები ორგანიზაციულად.

მართალია სამაზრო პარტკომის მიერ შემუშავებულია სათანადო გეგმა ქალთა შორის მუშობის გამოცოცხლებისათვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით ის ცხოვრებაში არ არის გატარებული.

მაგრამ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ამ მიმართულებით გადავდგათ სათანადო ნაბიჯები?

საჭიროა ყოველ მიზეზს გარეშე ჯერ გამოყოთ ადგილობრივად მომუშავე ქალები და გავგზავნოთ პარტსკოლებში, მივსცეთ მათ სათანადო ცოდნა, შემდეგ ჩავაბათ ისინი საზოგადოებრივ მუშობაში. მაგრამ, სანამ ამის განხორციელებას შეუდგებოდეთ, ესე იგი ქალების აღზრდას და შემდეგ მათ სამუშაოზე გაგზავნას, მანამდის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ მდგომარეობას ცენტრმა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და მიამაგროს სათანადოთ მომზადებული მომუშავე ქალები.

პ. ლეფს. წვერიძე.

საგარეჯოს რაიონის კომუჯრედების გაერთიანებული კრება

ა. წ. 20 თებერვალს, საგარეჯოს საჰალხო თეატრის დარბაზში შესდგა რაიონის კომუჯრედების გაერთიანებული ოთა კრება, რომელსაც დაესწრენ მრავალი უპარტიონი.

საქართველოს გასაბჭოების ოთხი ხლის თავის და „ლიტეის ციხეების“ საზეიმოდ აღნიშნვის შემდეგ, ამ. ბ. ... „ბ. ... ...

ს. ს. ს. რ. სახ. კომეხარეთა საბჭოთა საინფორმაციო-გამყოფილების კომპლექტი

კოოპერაცია

წარმოკავშირის ბამბის მეურნეობა

...ულ დესიატინების რაოდენობა.

...ანახმად წარმოკავშირისა და ა. ...ბამკომის შორის დადებული ...ეშეკრულებისა, საქართველოში ...ულია, სულ—1585 დ... ...ბამბის კულტურისთვის გ... ...ეული მიწა. აქედან კახეთსა და ...ში ...ბამბის მოდის—1425 ...ტინა და იმერეთზე 160 დესიატინა.

...ბამბის მიწა უნდა ჩათესულ...ს ...ბაზისად.

...ბამბის მიწად, ამავე ხელშეკრულ...ბის თანახმად, ჩაითვლებოდა ისეთი მიწა, რომელიც ბორჩალოს მაზრაში დესიატინა გამოიღებდა 40 ფ. ...ში დესიატინა და კახეთსა და იმერეთში—... ფუთს.

...ბოლოდინს ვადაცდენა.

...წარმოკავშირისა და ა.-კ. ბამბკომის ...ეშეკრულება კომ სიამ მოახდინა ნათ...ბამ შემოწმება. გამოირკვა, რომ ...ბამბა დესიატინის როოდენობა ...ეთში ულრანს—160-ს, კახეთში ...268 ნახევარს და ბორჩალოს ...ში—1419-ს, სულ 1.847 დ... ...ანა ე. ი. 262 დესიატინით მეტი ...ედრე ნავარაუდევი იყო.

ბამბის ჩაბარება.

...წარმოკავშირი ბამბას აბარებს ა.-კ. ...ბამკომს, იმერეთში გაუშენდელად—კურკით, ხოლო აღმოსავ. საქართველოში გაწმენდილს—უკურკოდ. რაც ერგებოდა კომიტეტს, იმერეთიდან, წარმოკავშირმა უკვე ჩაბარა და აბარებს კიდევ ზედმეტს; კახეთსა და ბორჩალოს მაზრაში კი ჩაბარებენ ბამბას, გაწმენდის შემდეგ. ჩაბარება უკვე დაიწყო და მზად არის 7 როდოდა გაწმენდილი ბამბა.

ბამბის გაწმენდა.

ბა"ბის გაწმენდისათვის წარმოკავშირს აღებული ჰქონდა საქ. მიწშოქ...კომიდან ოჯართ ქარხანა ყუარაში (ბორჩალოს მაზრაშია), სადაც მუშაობა უნდა დაწყებულიყო წ | წ. 15 ნოემბრიდან, მაგრამ ამავე თვის პირველ რიცხვებში ქარხანა გადავიდა ა | კ. ბამბკომის განკარგულებაში, რომელმაც იგი გადასცა წარმოკავშირს მხოლოდ ა | წ. 31 იანვარს. ქარხნის დაგვიანებით გადაცემამ ბუნებრივად გამოიწვია ბამბის წმენდის საქმის დაგვიანება.

მოგროვილ ბამბის რაოდენობა.

ამ ჟამად წარმოკავშირს, თავის ცენტრალურ საწყობებში აქვს 52.000 ფუთი კურკიანი ბამბა, კახეთისა და ბორჩალოს რაიონებისა. გრძელდება კიდევ მისი მიღება ბამბის მეურნეგლეობისაგან.

საბჭოთა მეურნეობის მდგომარეობა

1925 წლის იანვრის მიმოხილვა

...ბ თვეში ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით)

...ბალ...ალაქის მაზრა

...ბ იანვრიდან მაგარი ყინვები და ...ბრფალი ცოტა შენელდა, მაგრამ ...ბ ცოტა ხნით. ყინვები და ქა... ...ბ დადგა და მას შემდეგ სულ ...ბ...ოდებოდა.

...ნოესებში იანვრის განმავლობაში ...ოდება არ მომხდარა. ენესი, ...ბ სხვა სამეურნეო კულტურე... ...ბ მაზრაში არ არის. სა... ...ბ ცუდ მდგომარეობაში იყო. ...ბ...ბ ეპიზოოტია. განსაკუთ...ბ ცხვრებზედ (კაპანაკი). იღუ...ბ არა მარტო ადგილობრივ სა...ბ, არამედ სხვა მაზრებიდან ...ბ ჩამორეკილიც. როგორც ...ბ აცხადებენ, ვეტერინალურ ...ბ...ბ ნაკლები შედეგები მო...ბ.

...ბ მდგომარეობა სურსათის მხრივ ...ბ. პროდუქტებზე ფასებმა ...ბ...ბ აიწია. ფასების აწევა ეტყო...ბ ოქროვე ქალაქის წარმოების ...ბ.

...ბ...ბ მასალის მოთხოვნილება ...ბ...ბ დიდია.

...ბ სამეურნეო-სამეურნეო გადასახადის ...ბ...ბ სწარმოებს სუსტად უამინ...ბ...ბ გამო.

რ ა ბ ბ ა

...ბ...ბ...ბ ...ბ...ბ...ბ

პროვინციაში

დაეხმარეთ შემოქმედის თემის სამკითხველოს

შემოქმედის (ოზურგეთის მაზრა) წიგნთ საცავ-სამკითხველოს ესპიროება განახლება და დროს ბინდევით მოწყობა. ამიტომ ხსენებულ სამკითხველოს გამგეობა მიმართავს ამხანაგ მუშებს და მოსამსახურეებს გაუწიონ მას ღახმარება ფულით, თანამედროვე წიგნებით და გაზეთების გამოწერით. იმედი გვაქვს შემოქმედის თემის მცხოვრებნი, რომელნიც გასული არიან თავის სოფლიდან და მსახურობენ სხვ დასხვა ქალაქებში, დახმარებას გაუწევენ გამგეობას ამ საქმეში. ვინც კეთილ ინებებს და ჟურნალ-გაზეთებს გამოგვიწერს, გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: ოზურგეთი, პოლიტგანის წიგნის მაღაზიას. შემოქმედის სამკითხველოსთვის. წიგნებისა და ფულის გამოგზავნა შეიძლება მისამართით: შემოქმედი, შემოქმედის სამკითხველოსთვის სამკითხველოს გამგე **ოსეს ჩხატარიშვილს.**

დაგვხმარეთ სკოლის შენობის დამთავრებაში

საქვთოს თემი (ოზურგეთის მაზრა)

მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებებისა, აქაური გლეხობა გასულ წელს შეუდგა შვიდ წლიანი შრომის სკოლისათვის შესაფერი ბინის აგებას. საამისოთ არჩეულ საალმშენებლო კომისიის ენერგიული მუშაობით და გლეხობის ერთსულოვანობით საალმშენებლო საქმე ხალისით მიმდინარეობდა და რომ ბანდიტურ გამოსვლებს არ მოესწრო, ეს შენობა, თუ სრულიად არა, დახურული ძაინც გვექნებოდა. ეხლა შენობის დასრულების საქმე მინდობილი აქვს გლეხკომს, რომელმაც თავის რწმენებულათ ამ საქმის გარშემო დანიშნა ყოფ. საალმშ. კომისიის წევრი იოსებ კვაჭანტირაძე, რომელიც მუშაობდა და მუშაობს დიდი ენერგიით. ეხლა შენობა სახურავზია მოყვანილი და ვინაიდან აქვე ახალგამოწყებულმა საკრამიტე ქარხანამ ჯერ ჯერობით ვერ გაგვიმართა, ამიტომ იძულებული შევიქენით გვეთხოვა მაზრისთვის სახელოკით დახმარება. მაზრამ ეს კითხვა დადებითათ გადასჭრა და აღგვითქვა დახმარება, მაგრამ... „სიღარიბეს დაუდგეს ორივე ოვალები“— რა მოგვცეს, რაც არ აქვთ.

სახახან ხაჩარჩალიძე.

ციმბირის ჭირი

(სანაკი)

ს. შხეფში ერთი გლეხის ოჯახში პირუტყვს გაუჩნდა ციმბირის ჭირი. ექიმმა გასინჯა და შეამოწმა. საჭირო შეიქნა პირუტყვის აცრა. სამწუხაროდ საზოგადოებამ უარი განაცხადა პირუტყვების აცრაზე.

ექიმი ვერაფერს გახდა. გლეხის პირუტყვი ისევ აუცრელი რჩება.

უჩა.

სკოლის დაწვა

(ხენაკი)

ს. ნოსირში იყო საუცხოოთ მოწყობილი სკოლა.

25 თებერვალს ღამით სკოლას მოეკიდა ცეცხლი და დაიწვა.

მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

წინა დღით და იმღამეს ძლიერი ქარი ჰქროდა, მაგრამ მიღებულ ზომებით ცეცხლი სხვა შენობებს არ მოედვა.

ბანი.

ვადლობა დახმარებისათვის

ამხანაგო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ქვემო-ილმის (შორაპნის თემი) 4 წლედის შრომის სკოლის ტეხნიკურად მოწყობისათვის გამოიღეს თავიანთი წვლილი.

აი მათი სია: 1. ანტონ საკოვმა 5 მან., 2. გიორგი სხილაძე მიხეილისძე 1 მ. 50 კ., 3. მიხეილ მაჟავარიანმა, 4. პოლიკარპე შავიძემ, 5. ვალოდია მანჯავიძემ, 6. ნიკოლოზ მანჯავიძემ, 7. იაკობ გრიგალაშვილმა, 8. ვინო ხომასურიძემ, 9. ილარი მესხიშვილმა, 10. ამირიდონ ჯიქურიძემ, 11. ფოფა სხილაძემ, 12. არჩილ სვანიძემ, 13. აბესალო ჭიპაშვილმა, 14. რაფდენ სხილაძემ, 15. ავესენტი სხილაძემ, 16. მიხეილ სხილაძემ, 17. ვალოდია ლაღუნდარიძემ, 18. სერაფიონ თურმანიძემ, 19. სერგო თურმანიძემ, 20. ალექსი თუმანიძემ, 21. მელიტონ ჭინკოტაძემ და 22. პლატონ სხილაძეს თითო თითო მანეთი; 23. ჯიქურიძე ილიკომ, 24. სერგო, 25. მელიტონ ურთკმელიძეებმა, 26. იასონი, 27. პეტრე, 28. ლიუბა, 29. მარო ტყეშელაშვილებმა, 30. მიშა, 31. ტრიფონი, 32. არქიფო, 33. მინაგო, 34. მალაქია ხომასურაძეებმა, 35. ვასილ, 36. ლავრენტი, 37. პავლე ხუციშვილებმა, 38. ოლღა, 39. დიმიტრი ბოჟაძეებმა, 40. ბეგლარი, 41. მიშა, 42. ფოფაკა, 43. მელქი, 44. ირადიონ, 45. ანთიმო, 46. გიორგი მიხეილისძემ, 47. ბურძაყან. 48. გიორგი სისონასძე, 49. მალაქია, 50. იაშამ, 51. მიხეილ ნიკოლოზისძემ, 52. ალექსიმ, 53. ნესტორ, 54. ილია სხილაძეებმა, 55. კოლია სვანიძემ, 56. ონისიმე, 57. გოგიტა, 58. ტერენტი, 59 სერიოჟა, 60. საშა, 61. კონსტანდილე, 62. აფრასიონ, 63. ფოფაკა თურმანიძეებმა, 64. მიხეილ, 65. მიხეილ ალექსიძემ, 66. ჰლატონ, 67. გიორგი, 68. არჯევან, 69. ყარამას, 70. აკაკი, 71. არჩილ სხილაძეებმა, 72. ნოე კვინიკაძემ, 73. ნიკოლოზ ბლუნჩაძემ, 74. აიმასხან ხომასურიძემ, 75. ალექსანდრე მესხიშვილმა, 76. გიორგი მესხიშვილმა, 77. ვინო ლაკბიძემ ათ-ათი შაური, 78. იასონ მესხიშვილმა ექვსი შაური, 79. დიმიტრი ოყროშიძემ ერთი აბაზი, 70. თომა თურმანიძემ ერთი მანეთი.

ვსთხოვთ აგრეთვე ამ სოფლის დანარჩენ მოქალაქეებს მიბაძონ პატიცემულ პირთ ზემოხსენებული სკოლის და ამ სოფლის ნორჩი ახალგაზრდობის საბეჭნიეროთ.

სკოლის კომიტეტის მონდობილობით სკოლის გამგე

ტ. ნიქაბაძე.

პროვინციის ქრონიკა

— **სიღნაღის** აღმასკომმა სოფ. ბაკურციხეში წყალსადენის გასაყვანად გადალო 6732 მან.

— **ხოფ. ვეჯნის** (სიღნ. მაზრა) გლეხებმა გადასწყვიტეს ადგილობრივ წყალსადენის შეკეთებისა და ახალი ხაზის გასაყვანათ საჭირო ხარჯები თვით იკისრონ, ხოლო ტეხნიკური დახმარება სთხოვონ აღმასკომს.

— **რაჭის** აღმასკომის აგრონომიულმა განყოფილებამ გადასწყვიტა მეურნეობის გაუჯობესების მიზნით მოაწყოს აგიტაცია-კამპანია.

— **სოფ ნიაბი** (გორის მაზრა) ადგილობრივი მცხოვრებთა შუამდგომლობისამებრ, მიწერილი იქნა სოფ. ახალქალაქის თემზე.

— **ბორის** აღმასკომმა დაადგინა, თანახმად სურამის თემ-აღმასკომის შუამდგომლობისა, ოლქის სასამართლოს სესიები იმართებოდეს სურამშიც.

— **სოფ. ბომში** (ქირთლი) არსებული საექიმო პუნქტი სამაზრო აღმასკომის დადგენილებით გადატანილი იქნება სოფ. ვაჯაში.

— **საქართველოს საჰაერო ფლოტის** მეგობართა საზოგადოების უჯრედები დაარსდა წინანდალში, სოფ. ენისელში და ახალ სოფელში. გლეხები საზოგადოების წევრებათ დიდი ხალისით ეწერებიან. უჯრედებს ხელმძღვანელობს ყვარელის საარაონო საჰაერო ფლოტის უჯრედი.

იპარიდენი რჩევა-დახმარება

წითელ არმიელის ოჯახის ღევრთა უზრუნველყოფის შესახებ

კითხვა

მე ვარ დაბადებული 1902 წ. პირველ გაწვევაზე წითელ ჯარში ვიქენ ყანთავისუფლებული 6 თვით, როგორც წვრილი ცოლ-შვილის მარჩენალი და მასთან ძალზედ ღარიბი. ოდესაც მოხდა ხელმეორედ ჩვენი გადარჩევა, მე გაყვანილი ვიქენი წითელ ჯარში 1924 წ. ნოემბრის თვეში და ამ ჟამად ვმსახურობ ქ. ქუთაისში მე-2-რე საარტილერიო დივიზიონში. ჩემი ცოლ-შვილი კი განიცდის უმწეო მდგომარეობას, არავისგან დახმარება მას არ აქვს; გვყავს ორი ბავშვი: ერთი—2 წლის, მეორე კი—6 თვის.

გთხოვთ განგვიმარტოთ, ვინ და რა წესით უნდა აღმოუჩინოს დახმარება უპატრონოდ მიტოვებულ ჩემ ცოლ-შვილს.

წითელარმიელი **აკაკი გოგავა.**

პ ა ს უ ხ ი.

თანახმად დეკრეტი № 23-ის მუხ. 8 15-ბისა თუ ჯარში გაწვეული წითელარმიელი ერთად-ერთი მარჩენალია თავის ოჯახისა, უკანასკნელს სოც-უზრუნველყოფის სახ. კომისარიატისგან ეძლევა ყოველთვიური დახმარება, რომლის მიღების უფლება აქვს წითელარმიელის ოჯახის უნარმოკლებულ ყოველ წევრს, რომელსაც ის ინახავდა სამხედრო სამსახურში შესვლამდე. შრომის უნარმოკლებულად კი ჩაითვლებიან: ა) წითელარმიელის ცოლი, რომელსაც ჰყავს ბავშვი ჰასაკით 8 წლამდე, ან და რომელსაც უკვე შეუსრულდა 45 წელი; ბ) შვილი 16 წლამდე; გ) წითელარმიელის ძმა და და 16 წლამდე, ან და თუ ისინი მთლად ობლები არიან და მათი მშობლები ცნობილი არიან შრომის უნარმოკლებულად; დ) წითელარმიელის დედა 45 წელზე უფროსი; ე) წითელარმიელის მამა 55 წ. უფროსი, ბებია და პაპა, თუ მათ არა აქვთ პირადი შრომის საშოვარი.

დახმარება ეძლევათ შემდეგ რაოდენობით: ოჯახის ერთ წევრს, შრომის უნარმოკლებულს, ადგილობრივ მინიმალური (უმცირესი) სატარიფო განაკვეთის ორი მეხუთედი 40 პრ., ორს—შვიდი მეოთედი (70 პრ.), სამს და მეტს კი მთელი აღნიშნული განაკვეთის რაოდენობით. დახმარების მისაღებად თქვენ უნდა მიმართოთ სოც-უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს.

კანონიერია თუ არა ასეთი ქორწინება

კითხვა

უკვე ცხრა წელი სრულდება მას აქეთ, რაც მე დავქორწინდი. ჩემი ქმარი სულ ოჯახის გარეშე იმყოფებოდა: ხან ფრონტზე, როგორც სამხედრო პირი და ხან სხვაგან, სხვა ქალაქებში—სხვადასხვა საქმიანის გამო. ძალიან იშვიათად გვიხილავდა ერთად ცხოვრება და მაშინაც კი ჩვენი ერთად ყოფნა ჯოჯოხეთური იყო, ვინაიდან ჩემი ქმარი მეპყრობოდა ძალიან უხეშად; ყოველ ჩეს ნაბიჯში, ყოფა-ქცევაში და უბრალო ხეშრობა-სიცილშიც ის ეძებდა ჩემი უზნეობის და ვარაყნილების ფაქტებს. მასთან ის ჩენზე უფროსი იყო 10-11 წლით.

ვსდილობდი ანგარიში გამეწია შეძლებისდაგვარად მისი „კაპრიზებისათვის“, მაგრამ ეს მე ორგანიულად ვერ შეძელი და ბოლოს, ორ წლის ტანჯვა-წვალების შემდეგ, იძულებული გავხდი თავი გამენებებინა მისთვის. ვითხოვდი გაქორწინებას, მაგრამ ის არ მთანხმდებოდა.

ამიტომ სასამართლოს წესით ვეღარ მოხერხდა ჩვენი განქორწინება ჩენშევიკების დროს, თუმცა ფაქტიურად 6 წელზე მეტია, რაც ვცხოვრობთ ცალ-ცალკე სხვადასხვა ქალაქებში და ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ გვაქვს.

ამ ბოლო ხანებში კი ნამდვილ წყაროებიდან გავიგე, რომ ჩემ ქმარს უკვე შეუოთავს სხვა ქალი (დაქორწინებულა) ჩემდა დაუკითხავად და უკვე შვილებიც ჰყავს.

გთხოვთ განმარტებას, თუ რამდენად კანონიერია მისი ქორწინება?

მშრომელი ქალი განათლების კავშირის წევრი.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ს მუხ. **70,80 და 81-სა ქორწინება, შესრულებული იმ დროს, როდესაც რომელიმე მექორწინეთაგანი იმყოფება სხვა კანონიერ ქორწინებაში და ეს ქორწინება არ იყო გაუქმებული არც სიკვდილით, არც განქორწინებით, არ არის ნამდვილი (კანონიერი) და წინა ქორწინება რჩება თავის ძალაში და დამნაშავე კი ორ ქორწინებაზე მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.**

გინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ მე-2 უბ. მამა-დავითის ქვეშ ყიფიანის ქუჩაზე, სახლში № 20, მიპირაკს ერთი ოთახი ქვედა სართულში. შესავალი ეზოდან მაქვს. ეს ოთახი საშინელად ნოტიარის. მისი სივრცე უდრის 30 კვად. არშინს. თუმცა ჩემ ოთახს აქვს საკუჭნაო და სამხარეულო, მაგრამ მე ვერ ვსარგებლობ ვერცერთით. თვითონ სახლისპატრონი სარგებლობს ყველა ამით. მე ვმუშაობ მე-2 სტამბაში, ვარ ასოთ-ამწყობი, ჩემ კმაყოფაზე არის სამი სული; ძირითად ჯამაგირს ვღებულობ **54 მანეთს.** დღემდის ბინის ქირად თვიურად ვიხდიდით 3 მან. და 50 კაპ. ამ ჟამად მისი გადახდა არ შემიძლიან. გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენი უნდა გადაეიხადო ბინის ქირად თვიურად.

ასოთ-ამწყობი **ოქროპირიძე.**

პასუხი

ა | წ. პირველ მარტიდან ბინის ქირად იხდით ერთ მან. და შეიდ შაურს.

ჩვენი ფოსტა

სახახან ხაჩარჩალაძეს. თქვენი პირველი კორესპონდენცია დაიბეჭდა. გზავნეთ.

ქაზიოს მოამპეს. თქვენი წერილები მხოლოდ შ მთხვევით არ დაიბეჭდა. წერილები გზავნეთ. თუ თბილისში ჩამოხვიდეთ, რედაქციაში შემოიარეთ.

ბ. უჩაველიშვილს. არჩევნების ანგარიშები, გარდა ერთისა, ყველა დავბეჭდეთ. დანარჩენ კორესპონდენციებიც მოვთავსებთ. „4 წლის თავი“— ეს დაიბეჭდება.

ნ. შაბათავას. კორესპონდენცია გვიან მივიღეთ. არ დაიბეჭდება.

პ. კუდიანს. თქვენი კორესპონდენცია არ მიგვიღია. გამოგზავნეთ.

დავსწრეს. თქვენი კორესპონდენცია გადაეცა სადაც ჯერ არს. საქმე გამოძიებული იქნება.

ბოხევე თარგისპირელს. ვაცნობეთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც მიიღებს შესაფერ ზომებს.

ბ. ს. გადავეცით ახალგ. ლენ. კოჯავშირის ც. კ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ა თ ვ ი ს

— 5 თებერვალს, რაიპატრეკომებისთვის დანიშნული მორიგი მეცადინეობა ლენინიზმისა და ტროცკიზმის შესასწავლად—აღარ შესდგება

თ. კ. საპროპ. ქვე განყ. გამგე **ბუდილავი.**

— ს. კ. პ. ლენინს რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 4 მარტს, საღამოს 6 საათზე, ბალთამიმოსვლის სამსახურის მეუჯვეე უბანში შესდგება დელეგატთა პარტიული კრება. ყველა დელეგატთა და უჯრედებია მეთვალეობის დასწრება სავალდებულოა.

ლენინის რაიკომის მდივანი **ქავთარაძე.**

— თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ანბ. ვანიელ ჯიოევს და საკავეს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში.

თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილების გამგე: **საკოვი.**

განცხადებები

ღრმათ დამწუხარებულნი—მეუღლე ოლღა ნიკოლოზის ასული, ვაჟები—შალვა და ალიკო, ძმა—ვლადიმერი აუწყებენ ნათესავთა და მეგობართა, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 1 მარტს, ქ. ბათომში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

ნესტორ გესარიონის ძე

ელიავა

გამოსვენება და დაკრძალვა 5 მარტს, ქ. ბათომში, საკუთარ ბინიდან სმეკალოვის ქუჩა № 45. 517 1—1

ნაკალადევის თეატრი

ხვალ, 5 მარტს

ს. ფალიაშვილის ოპერა

აგენალომ და ეთერი

ნ. 897 1—1

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 5 მარტს

მზის დაბნელება საქართველოში

ნ. 888 3—2

თბილისის კომუნალური წყალსადენი

ამა მარტს საღ. 6 საათზე აღმასკომის შენობაში ოთახი № 65

იწვევს წყალსადენ-სანიტარულ ტეხნიკურ ხასიათის წარმოებების და დაწესებულებათა წარმომადგენლებს და აგრეთვე იმ პირთაც, რომელნიც მუშაობენ ამ დარგში და აქვთ სპეციალური განათლება არა ნაკლებ საშუალისა.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. ადგილობრივი წყალსადენ-სანიტარულ-ტეხნიკურ კომიტეტის ჯგუფის შექმნა.
2. მე-13-ტე ყრილობასთან დაკავშირებულ საკითხების გამორკვევა და
3. მომავალ მეცამეტე ყრილობაზე გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის გამორკვევა.

წყალსადენის დირექტორი **ხოჯაევი.**

ნ. 890. 3—2 კანც. გამგე **ქურთიშვილი.**

თბილისის საბაჟო

აცხადებს, რომ 5 მარტს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომლითაც გაიყიდება კონტრაბანდი საქონელი: შეიოტი, ტყავები, აბრეშუმის და ბამბის ჩულქები, საგალანტერეიო, საპარფიუმერიო და სხვა საქონელი.

ნ. 879 2—2 საბაჟოს გამგე: **ბურჯანაძე**

ა | პ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის საქართველო

აუწყებს ყველა დაინტერესებულ ორგანოებს და დაწესებულებებს, რომ: 1) კრედიტის სიმცირის გამო სამმართველოს განცხადებები იბეჭდება მხოლოდ ოფიციალ ორგანოებში „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტ“-ში. ამისათვის ვთხოვთ სხვა გამომცემლობათ ნუღარ მოგვმართავენ განცხადებების მოცემის შესახებ და 2) ყოველგვარი დაკვეთა სამმართველოსგან (განცხადებები გაზეთებში, ბლანკების და წიგნების დაბეჭდვა, საკანცელარიო საგნების მოცემა და სხვა) უეჭველად უნდა სრულდებოდეს მხოლოდ ოფიციალ ქალაქთან, რომელიც უნდა იქნეს ხელმოწერილი საქმეთა მმართველს, ცენტრ. ბუხჰალტერიის და სამნეო განყოფილების გამგეთა მიერ.

ამასთანავე სამმართველო იტოვებს უფლებას არ გაანაღდოს ამ წესის გარეშე წარმოდგენილი ანგარიშები.

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის მოადგილე **ი. ფანცხავა.**

საქმეთა მმართველი **გ. ჯაფარიძე.** ნ. 893 1—1

რუსთავლის პროსპ. № 12

საექსპედიციო კანტორა „მნათობი“

მიიღება ხელისმოწერა ჟურნალ: **„მნათობზე“** და შემდეგ წიგნებზე 1) **კ. კაპანელი:** „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (რუსულ ენაზე)—7—50 კ. ორივე ტომი. და 2) **კ. კაპანელი:** „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. 2) **თ. ბეგაშვილი:** „ქართული სიტყვიერების ისტორია“ 1 მ. 3) **პროფ. ი. თიკანაძე:** „მუცლის მოშლა საექიმო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით“. 4) **დ. კასრაძე:** თეატრი და 5) **ვ. ბარნოვი:** „ბედის ვარსკვლავი“ (რომანი),—ხუთივე წიგნი ღირს 7 მ. 40 კაპ.—საჭიროა წარმომადგენელნი ყველა დაბა-ქალაქებში და სოფლებში.—ფული და წერილები შემდეგი მისამართით: **თბილისი, რუსთაველის პროსპ. 12,** კანტორა „მნათობში“ თომა ჩიქანაიას (წინანდელ განცხადებებში ნაჩვენები მისამართი გაუქმებულია).—ვ. ქადეიშვილი დაინიშნა ფოთში წარმომადგენლად. საჭიროა აგენტები ქ. თბილისშიც.—**მოსკოვში** მოკლე ხანში გაიხსნება საკუთარი კანტორა.

ნ. № 886—10—2 **თომა ჩიქვანაია**

მედსანშრომის კავშირის ღევრთა საყურადღებოდ

ოთხშაბათს, ა | წ. 4 მარტს, საღამოს 8 ს. ს. ... ოლეატრში (ყოფ. სახალხო სახლ) გაიკეთ ... **მედსანშრომის კავშირის ღევრთა საპრანოს**

კრება

დღის წესრიგში სდგას საკითხი—ჯანმრთელობის თანამედროვე მდგომარეობა და ამოცანები.—მომხსენებელი—რ. ს. ფ. ს. რ. ჯანსახკომი—ამხ. **სემაშკო.** ყველა კავშირის ღევრთა დასწრება სავალდებულოა

კავშირის ცენტრალური გამგეობა

ნ. № 895 1—1

საქართველოს ჯ. პ. ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი

(ვანო მაჩაბლის ქ. № 4)

ინსტიტუტთან იმყოფება სამი წარმოებითი განყოფილება:

სეროლოგიური, ვაქცინური და კლინიკო-დიაგნოსტიური.

1. პირველი აშზადებს სხვადასხვა სნეულებათა საწინააღმდეგო შრატებს და აგრეთვე მუდმივ აქვს პარიზის პასტერის ინსტიტუტის მიერ დამზადებული შრატები:

დიფტერიისა, სტრეპტოკოკური, პნევმოკოკური, ანტიტეტანური, ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო და სხვ.

2. ვაქცინური განყოფილება აშზადებს სხვადასხვა აუტოვაქცინებს, ფილტრატებს და ვაქცინებს (ხოლერის, მუცლის ტიფის და სხვ.)

3. კლინიკო დიაგნოსტიური განყოფილება ღებულობს გასასინჯათ სისხლს მისი სრული მორფოლოგიური და პარაზიტოლოგიურ გამოსაკვლევად; სისხლის სეროლოგიურ გამოკვლევის მიზნით კეთდება რეაქცია *Bordet-Wassermann*-ისა, *Bezredka-Goldenberg*-ისა, *Sach-Gseorg*-ისა *Dold*-ისა, *Weimberg*-ისა და სხვა.

აქვე მიიღება სრული გამოკვლევა შარდისა, განავლისა, ნახველისა, რძისა და სხვა კლინიკურ თვალსაზრისით საჭირო მასალებისა.

ნ 892 1—1

საქართ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის ტრესტი

და

ცენტრალ. რაიონის ელექტრო-ტეხნიკური (ე.ტ.ც.რ.) ტრესტის თბილისის

განყოფილება

ამით აცხადებენ, რომ ლითონის ტრესტის ქარხნებში მოწყობილია სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის ტრესტის „ე. ტ. ც. რ.“-ის ამიერ-კავკასიის ტურბინების დასამზადებელი ქარხანა

მზადდება წყლის ტურბინები და ჰიდრო-სადგურების მოსაწყობად სხვადასხვა საგნები, როგორც მაგ.: შლიუზები, გამტარებელი მილები და სხვ.

ტურბინები მზადდება ყოველგვარი ძალისა და სისტემის

ახლო მომავალში ქარხანა გამოუშვებს ტურბინებს შემდეგ ჰიდრო-ელექტრონის სადგურებისათვის:

ბელოკანი, საჩხერე, ოზურგეთი, თორტიზი, სადახლო, ქვემო გომი, სართიჭალა, არუხლო, კუროორტი შოვი და სხვ.

ლითონის ტრესტი: საბჭოთა ქ. 115—ტელ. 20—53 და 19—54.

ე. ტ. ც. რ. რუსთველის პროსპ. 19—ტელ. 1—55.

ნის. № 894—1—1

კომინტერნის ქუჩა (ყოფილი სასაწლის) № 5

ხელახლა გაიხსნა

სახელმწიფო მუსიკალურ ტრესტის

საბითუმო-საწყვრილმანო ცენტრალური

საწყობი ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის

საბჭ. რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატის

„მუზეარ“

დიდი როიალები, პიანინო, ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად, გაქირავება, შეკეთება, აწყობა, ყოველგვარი მოსიკალური ინსტრუმენტები, მოწყობილებანი, სიმები, გრამფონები (ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად) საკუთარი ფაბრიკების ფირფიტები: ოპერები, ცეკვა, რომანსები, ლიდერების და ამხ.

ლენინის რევოლიუციონური სიტყვები

ნის. 891 2—2

ელ ექტრონით და სინათლით

სამპურნალო

საწოლებით რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორლანოვის ქ. № 20. 9205 25—19

ექიმი ვ. ნ. ჩუკრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ.

25—14

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—2

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—25

ექიმი

ალექსანდრე კორკია

მკურნობა და ქალთა სნეულებანი

მიღ. ავადმყ. 4—6 ს. საღ.

პლეხანოვის პრ. № 65.

25—16.

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქ

ურგიულ ავადმყოფობათა (სმენისენების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დღეის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—2

ექიმი

ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს

საღამოს 4—7 საათამდე.

სოხუმის ბაზარი № 3.

№ 202.

25—19

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობა ელექტრონის სხივებით წამლობა.

მიღება დილით 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. გარდა კვირისა

25—15

ექიმი

გ. გ. მეგრაგიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეციმკურნალობა მალიარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—25

დავკარგე სალექციო წიგნაკი მიცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ალექსანდრე უშანგის ძე გუნიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 524 1—1

დავკარგე ფოსტა-ტელეგრ. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 94450 ნეოფიტე კალისტრატეს ძე ქინქლაძემ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 519 1—1

დავკარგე ქ. თბილისის მეორე რაიონის სამხედრო მგიდის მიერ დავით სამხონის ძე მურვანიძის სახელზე გაცემული პირადი წიგნაკი № 605. ჩაითვალოს გაუქმებულად. 518 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ნიკოლოზ ბერემის ძე ფანუაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 520 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და აღრიცხვის ქალაღალდი მიხეილ ოსიფის ძე ხვინგიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 521 1—1

დავკარგე ლიის რაიამბიერო მაგიდის მიერ პლატონ ბეჩუას ძე შონიას სახელზე გაცემული მოწმობა № 709. ჩაითვალოს გაუქმებულად. 592 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1 ლეონ სიმონის ძე კარელინტის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 526 1—1

ტირაჟი—22.498 „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4